ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲯᲣᲒᲤᲘᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘ

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 ᲗᲘᲗᲔᲑᲘᲠᲕᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 2010

№046(13034) ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲘᲗᲘᲠᲘ

ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗ

ᲫᲔᲑᲜᲐᲘᲐᲡ ᲓᲔᲒᲘᲣᲢᲘ ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲜᲙᲐᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲘᲪᲮᲐ

>> ᲒᲕᲔᲠᲓᲘ 4

UEFA EUROPA LEAGUE

>> ᲒᲕᲔᲠᲓᲘ 8

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ

ᲠᲝᲛᲘ ᲐᲗᲔᲜᲘᲡ ᲤᲔᲮᲥᲕᲔᲨ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲢᲛᲘ ᲚᲔᲕᲘᲜᲘ

ᲚᲔᲕᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲚᲔᲑᲘ ...ᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ

>> ᲒᲕᲔᲠᲓᲘ 13

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲘᲡᲘ ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲙᲚᲘᲞᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲔᲫᲓᲕᲜᲔᲑᲐ ᲜᲝᲓᲐᲠᲡ

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲗᲘᲜᲔᲒᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲩᲘᲒᲘᲠᲘᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘᲓᲐᲜ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲛᲐᲛᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲠᲘᲗ, ᲡᲣᲚ ᲪᲘᲠᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲚᲐ ᲛᲐᲜᲪ ᲜᲘᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲠᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲗᲐᲖᲔ, ᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲛᲐᲧᲣᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡᲘᲪ. ᲐᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲖᲔ ᲬᲔᲠᲗ.

ᲓᲘᲚᲘᲠᲔᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲤᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲘᲗᲮᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲘ ᲓᲐᲕᲡᲜᲠᲑᲝᲓᲘᲗ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲠᲣᲡᲗᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲔᲨᲣᲜᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲐ, ᲨᲔᲣᲖᲦᲐᲠ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲖᲦᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲠᲣᲡᲗᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲔᲨᲣᲜᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲠᲘᲚᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲜᲝ ᲐᲮᲚᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲚᲔᲪᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲨᲔᲣᲖᲦᲐᲠ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲖᲦᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲠᲣᲡᲗᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲣᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

● უცხოურ ენებზე

კანადურმა გაზეთმა „პროვინსმა“ გამოაქვეყნა სტატია მუსიკოსზე, რომელმაც სიმღერა მიუძღვნა ქართველი მოციგავის ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას. ვფიქრობთ, მისი გაცნობა ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

ეძღვნება უშიშარ გმირს

ბრაიენ ლუსი,
პროვინსი

ადამიანური გულისხმიერება და სუფთა გრძელვადა რომ ოლიმპიური სახეობა ყოფილიყო, სურეელი რიტმენლუუზის მომლოდინეი **ჭელისა მულდერალბერგსენი** აუცილებლად მოუპოვებდა კანადას ოლიმპიურ პოდიუმს ვანკუვერში. 35 წლის მელისა ზამთრის ოლიმპიურ თამაშების წინ მოხალისეთა სიაში ჩაეწერა და ბედმა მსა ქართული დელეგაციის დახმარება არგუნა, 12 თებერვლის საღამოს საქართველოს 11-კაციან დელეგაციას მელისა მოუძღოდა წარწერით „საქართველო“. ცერემონიამდე რამდენიმე საათით ადრე კი 21 წლის ქართველი მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი უისტლერის საციგაო ტრასაზე ვარჯიშობას დაიღუპა.

„ძალიან მძიმე იყო განადგურებულ ქართულ დელეგაციასთან მეხვედრა“, - იხსენებს მელისა ცერემონიის წინ ქართველებთან პირველ შეხვედრას, - *„თავი ვერ შევიკავე და მეც ტირილი, რადგან ქართული გუნდი მხოლოდ ჩვეულებრივი გუნდი არ არის, ისინი ერთმანეთის უახლოესი მეგობრები არიან, ერთ-ერთი მწვრთნელი კი ნოდარის ბიძა იყო“.*

და რიცა გუნდმა „ბი ინ ჯლეისის“ სტადიონის კარიბჭე შეაღო, 60 ათასი ადამიანი ქართველების ფეხზე წამოუდგა და ოვაციით შეხვდა. *„სულ 8 წუთი დაგვეჭირდა წრის გასაელელად, მაგრამ ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე გრძელი და ძნელი დისტანცია“*, - იგონებს მელისა.

მელისა მაღე მიხვდა, რომ მხოლოდ მისამძიმრება და ტირილი არ იყო საკმარისი ქართველთა სანუგეშოდ და რომ მასაც შეეძლო ნოდარის ხსოვნის პატივისცემად რამე სასარგებლო გაეკეთებინა. მელისა და მისი მეუღლე **დენილი** სურეის ადგილობრივი რიტმენლუუზის ჯგუფის „იეენ კილის“ წევრები არიან, მელისა ვოკალისტია, ხოლო დენილი - გიტარისტი. თამაშების დაწყებამდე ჯგუფს თითქმის დასრულებული ჰქონდა ახალი ალბომი, რომელიც უკვე ჩაწერეს სტუდიაში.

„ვიფიქრე, რომ ჩვენი ერთი სიმღერა კარგად შეეფერებოდა ნოდარის ხსოვნას და კარგი იქნებოდა, თუ მას ნოდარის მშობლები მივუძღვნიდი. ჩვენ ერთად დავწერეთ ის, მაგრამ აქამდე ვერ ვთანხმდებოდით, რა დაგვერქმია სიმღერისთვის“ - ამბობს მელისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ სიმღერა მათზეა, ვინც მხლოდ თავისთვის ცხოვრობს და მათზე, ვინც უფრო დიდი მიზნებისთვის იხარჯება, მაგალითად თავისი სამშობლოსთვის. *„ამ უკანასკნელთ მომღერალი გმირებად მიიჩნევს ნოდარ“*. ბევრ სიმღერაში არის ფრაზა „უშიშარი გმირი“, გაჩნდა სათაურიც: „უშიშარი გმირი“.

„იეენ კილის“ პირველი ალბომი გვიან გაზაფხულეს გამოვა, მაგრამ მანამდე ჯგუფი აპირებს „უშიშარი გმირი“ ცალკე სინგლად გამოუშვას და მოელი შემოსავალი, რასაც ეს სინგლი მოიტანს, ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის ფონდში გადარიცხოს საქართველოში. სიმღერა უკვე შესრულდა საჯაროდ „ლიზზა ოფ ნეიშენსზე“ და გიგანტურ ტელეეკრანზე აჩვენეს ვიდეოროგორც ნოდარ ქუმარიტაშვილზე. *„ხალხმა გულთან ახლოს მიიტანა სიმღერა, ძალიან ბევრი ატირდა და ვეგრძნობდი, რომ მეც მალე ვიტირებდი, თუმცა მაინც შევძელი ემოციების მოთოკვა და ბოლოსდე ვიმღერე“*, - იხსენებს მელისა ალბერტსონი, რომელიც მოელი მსოფლიოდან ოცეის მადლიერ გამოხმაურებებს.

კვირის მელისა ისევ დაუბრუნდება საქართველოს ოლიმპიურ გუნდს და მას დახურვის ცერემონიაზე გაუძღვება...

მოამზადა
ნიკოლოზ ნეშარიძემ

თხილამურგზით რბოლა

ნაგებული ჩემპიონი

სათხილამურო რბოლაში მორიგი მედალი დინამიკურ და საინტერესო სახეობაში - ესტაფეტაში გათამაშდა.

რბოლას ორი ფავორიტი ჰყავდა - შვედეთი და ნორვეგია, რომლებმაც ოქტომალური შემადგენლობები გამოიყვანეს ესტაფეტაზე. თუმცა პირველ ეტაპაზე რომელმე კვარტეტის გამოყოფა რთული იყო. რბოლას სათავეში ხუთი გუნდი ჩაუდგა და მათ შორის ნორვეგია და შვედეთიც იყვნენ.

ესტაფეტის მეორე ნაწილში სუსტად ალიიყურებოდა გამოცდილი ნორვეგიელი **პიელმესეტი**, რომელიც ძირითად ჯგუფს ჩამორჩა. იგივე ბედი ენია ფინეთის ნაკრებს. ლიდერია სამეული ასეთი იყო - შვედეთი, ჩეხეთი და საფრანგეთი. ნორვეგია კი 30 წამით ჩამორჩა შათ. სიტუაცია არც მესამე ეტაპაზე შეცვლილა. ნორვეგიელმა ბიატლონისტმა **ლარს ბერგერმა** ჩამორჩენა ვერ შეამცირა, ლიდერთა ტრო კი არ დაშლილა.

ნორვეგიელთა მეოთხე ნომერი წლევანდელი სეზონის ლიდერი **პეტერ ნორტუგი** იყო. სწორედ ის გახდა გუშინდელი ესტაფეტის გმირი, მოუხედავად იმისა, რომ მისმა გუნდმა ჩემპიონობა ვერ მოიპოვა. გუნდური სპრინტის ტრიუმფატორი თავიდანვე შეტეხვაზე გადავიდა და თანდათან მოუახლოვდა ლიდერებს. შვედეთი, ჩეხეთი და საფრანგეთი ისე გაერთნენ ტაქტიკური ბრძოლით, რომ შეიძლებოდა ნორტუგის ირონი გამოპპარპარდათ. ამას პირველი შვედების მეოთხე ნომერი **მარკუს კელნერი** მიხვდა, რომელმაც ტემპს უმატა და საბოლოოდ, 15-წამიანი უპირატესობით დაასაოლა ესტაფეტა. შვედმა საკუთარ თავს იმის უფლებაც კი მისცა, რომ დისტანციის ბოლო მეტრებზე შვედეთის დროშა დაიქნარა ხელში და ისე გადაკეკეთა ფინიშის ხაზი.

რაც შეეხება ნორტუგს, მის შეტეხას უკვალოდ არ ჩაუვლია და ნორვეგიას ვერცხლი მოუტანა, ბრინჯაო კი ჩეხეთის ნაკრებს ეერგო, რაც ყველაზე დიდი სენსაცია იყო, რადგან **ლუკაშ ბაუერის** გარდა, ამ გუნდში განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოთხილამურეები არ არიხებიან.

ესტაფეტა. 4x10 კმ. კაცები

1. **შვედეთი** (დანიელ რიკარდსონი, იოსპნ ალსტენი, ანდერს სოლდერერენი, მარკუს პეტერსონი) - 1:45:05,4; 2. **ნორვეგია** (მატკინ ონსრუდ-სანდენი, ოდბიორნ პიელშეტენი, ლარს ბერგერი, ტუტერ ტორტუვეი) - +15:90; 3. **ჩეხეთი** (მარტინ ილეი, ლუკაშ ბაუერი, ოლეგ მაკალო, მარტინ ალეკსეი) - +16:50; 4. **საფრანგეთი** - +20:90; 5. **ფინეთი** - +24:90; 6. გერმანია - +44:00...

გია თვალაგეიშვილი

ბობლეი

კანადამ გერმანიას მოუგო

უისტლერის საციგაო და ბობსლეის ტრასაზე დაზარალებულია რიცხვი იზრდება. ამჯერად ქალებს შორის ორადგილიანი ბობებით ასპარეზობისას ოთხმა დუეტმა ვერ მიაღწია ფინიშს. გასაგებია, რომ ავსტრალიელებისა და რუსების ნყვილები ელასით არ გამოორჩეევან და მათი ავარია დიდი მოულოდნელობა არაფისთვის ყოფილა, მაგრამ ბრიტანელების - **ნიკოლ მინჩინელოსა** და **ჯილიან კუკის** (მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები) და გერმანელების - **კეტლინ მარტინისა** და **რომი ლოგშის** წარუმატებლობა მართლაც გასაკვირი იყო.

ქალთა ბობსლეისტა ტურნირის წინ ფავორიტს ვერავინ ასახელებდა. თეორიულად შეიძლებოდა გერმანელი **სანდრა კირიასისის** ეკიპაჟის გამოყოფა, რომელიც ტურნირის თამაშების ჩემპიონი იყო. თუმცა კირიასისმა 2006 წლის ოლიმპიადის შემდეგ რანდენჯერმე შეიცვალა პარტნიორი, ანანუკეერში კი 22 წლის გამოუცდელ **კრისტინ ცენკელთან** ერთად ჩავიდა და ამბტმაც ადასტურა ამ დუეტის შანსების მოკრძალებულად.

პირველივე ცდაზე სოერპრაზზე შემოგვთავაზეს კანადელებმა - **კეილი ჰამფრეზმა** და **პიზერ მოისმა**, რომლებმაც ტრასის რეკორდი (53,19) დაამყარეს და ლიდერობა მოიპოვეს. ადრე ჰამფრეზს ორადგილიანი ბობებით თავი არასოდეს გამოუჩენია და მისი ყველაზე დიდი მიღწევა მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონატზე ოთხადგილიანი ბობით მოპოვებული ვერცხლის მედალი იყო.

საბოლოოდ, მოტყუვდნენ ისინი, ვინც კანადელთა ეს წარმატება დროებით მოელენად მონათლეს. ჰამფრეზმა და მოისმა მეორე და მესამე ცდაზეც ზედიზედ გაიუმჯობესეს ტრასის რეკორდი და ეს მაჩვენებელი 52,85 წამზე დაფიქსირეს.

როგორც ჩანს, უისტლერის მუხთალ ტრასას ყველაზე კარგად ალელ მასანინლუბმა აუფეს და პოდიუმის პირველ ორი საფეხურზე მოეკენენ. 85 მესამედი წამის ჩამორჩენით მეორე ადგილზე **ჯელენ აპერტონისა** და **შელი-ენ ბრაუნის** ეკიპაჟი გავიდა.

ხელი მოეცარათ გერმანელებს. კირიასის გუნდი მეოთხე ადგილზე ალმოწინდა, რომი ლოგშის ეტიკეტმა კი სამნელი ავარია განიცადა. დანყეველილ მე-13 მოსახვევში ბობი ამოგრიალდა. ლოგში "სალონიდან" ამოვარდა, მიეწინა ჩარჩენილი მარტინი კი ყინულს თავით დაეხეთქა. მან სტეიუარდების დახმარებით ტრასა ბარბაცით დატოვა, თუმცა განსაკუთრებული დაზიანება არ აღენიშნებოდა, ისევე როგორც მის პარტნიორ ლოგშს.

ორადგილიანი. ქალები

1. **კანადა-1** (კალე ჰამფრონი, პიზერ მოისი) - 3:32,28; 2. **კანადა-2** (ჯეკლენ ჰამფრონი, შელი-ენ ბრაუნი) - +0,85; 3. **აშშ-2** - +1,12; 4. **გერმანია-1** - +1,53; 5. **აშშ-3** - +1,77; 6. **აშშ-1** - +1,78...

გია თვალაგეიშვილი

ფრანგული

ლასილა და ჩინელები

"მნათე კონტინენტს" ვანკუვერის ოლიმპიადაზე უკვე ორი ოქროს მედალი აქვს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ავსტრალია ამ მაჩვენებლით ფიფაზაბრაკეი საფრანგეთისა და ჩეხეთის ძლიერ ნაკრებებს და უსნრეს ზამთრის სახეობების ისეთ გრანდებს, როგორებიც იტალია და ფინეთი არიან.

ავსტრალიას მეორე ოქრო ფრისტაილისტმა **ლიდია ლასილამ** მოუტანა, რომელმაც აკრობატიკის დისციპლინაში აჯობა ყველას და თავის ქვეყანას რვაწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნა პირველობა. შეგახსენებთ, რომ სოლტ�-ლეიკ-სიტიში აკრობატიკა **ალისა კამპბელმა** მოიგო.

გუშინდელი ფინალი ძალიან საინტერესო გამოვიდა, რადგან ერთბაშად ექვსმა მონაწილემ შეიტანა განაცხადი სამმაგ სალტოზე! ადრე ასეთ ილეთებს აღიარებული ლიდერები ასრულებდნენ და ამის გამო ხშირად ზარალდებოდნენ კიდეც. მაგრამ წლევანდელმა ფინალისტა არამარტო ნახტომების სირთულით, არამედ სუფთა დაშვებითაც გაგვაოცა.

ერთადერთი, ვინც თოვლზე დაშვებისას დაეცა, 19 წლის ჩინელი **მუნტაო სუ** იყო. არაადა ეს სპორტსმენი პირველი ცდის შემდეგ ლიდერობდა შეჯიბრის და ოქროს მთავარი პრეტენდენტიც გახლდათ. სუმ მეორე ცდაზე მაქსიმალური სირთულის კოეფიციენტიანი (4.175) ნახტომის შესრულება მოინდომა. მან ბრნყინვალედ შეასრულა ჰაერში სამმაგი სალტო საკუთარი ღერძის გარშემო სამმაგი ტრიალით, მაგრამ დაშვებისას წინ გადაიხარა, თხილამურებზე თავი ვერ შეიმაგრა და დაეცა.

ამის ნყალობით გახდა ლასილა ოლიმპიური ჩემპიონი, რომელმაც ჩინელამდე შესარულა ასევე სამმაგი სალტო (სირთულის კოეფიციენტი - 3,8) და მან ავსტრალიელს ოქროს მედალი მოუტანა.

მენტაო სუ საბოლოოდ მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა, თუმცა ჩინეთი უმეფლოდ არ დარჩენილა - მეორე-მესამე ადგილები ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა - **ნინა ლიმ** და **სინსინ გიმ** მოიპოვეს.

პარალელიკა. ქალები

1. **ლიდია ლასილა** (ავსტრა) - 214,74; 2. **ნინა ლი** (ჩინ) - 207,23; 3. **სინსინ გი** (ჩინ) - 205,22; 4. **ასოლ ხლოვეცი** (ბელ) - 198,69; 5. **ფაკე კუპერი** (ავსტრა) - 194,27; 6. **მენტაო სუ** (ჩინ) - 191,61...

გია თვალაგეიშვილი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩიჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტოროშვილი.**

1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **აროჩილ გოგალია** (1984-85), **თენგიზ გაჩიჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და ჭდიერი ტრადიციის გაზეთი. გსურთ „ლელო“ უფრო ულამესი? მოგეწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა: lelo@palitra.ge

მისამართი: **ოოსუბიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435** INDEX. რეკვიზიტი: **37 78 07**

რედაქციასთან ურთიერთობისას აუცილებლად გაუთითეთ ინდექსი და ფოტოდეგი სხვა ანალოგიური და ელექტრონული საშუალებებით გამოქვეყნებაა აკრძალული

სპორტი

დაბოგილი რუსეთი

"ს.პ.ულინის მატჩმა" არ გაამართლა გულშემატკივრების იმედები. რუსეთის ნაკრებს კანადური შტურმი დაატყვია თავს. რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, რომ მასპინძლები ასე ძლიერად ჩაატარებდნენ პირველ პერიოდს. მაგრამ საქმე მხოლოდ სათამაშო უპირატესობაში არ არის - კანადამ ფიზიკურად გადაუარა რუსეთის ნაკრებს და ყოველ ხელსაყრელ სიტუაციაში ძალისმიერ იღებთებს იყენებდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა (და,ალბათ, ასეც იყო სინამდვილეში) **ვიაჩესლავ ბიკოვის** ბუნდის არც ერთი პოკეისტი არ იყო მზად ასეთი პრესინგის გამკლავებისთვის. შესაბამისად, თითქმის მთელი პირველი პერიოდი კანადამ მეტოქის ზონაში გაატარა. ამან ძალიან მალე მოუტანა მასპინძლებს ნარმატება. **რიანან გეფცლაფმა**, რომელიც წინა მატჩებში ჩრდილში იყო მოქცეული, **დენ ბოილის** პასით გახსნა ანგარიში. ამ ეპიზოდში ყველაფერი "სან ხოსეს" მცველმა გააკეთა, რომელზეც მთელი რუსული დაცვა გადაერთო და ჭუჭცლაფს ისეა დარჩენოდა, ცარიელ კარგი შეეგდო ბანაკ.

კანადელების შეტევები მაშინ შეწყდა, როცა მოედნიდან ორი წუთით გაადევეს **ბრენტ სიბრუკი**. რიცხვობრივი უპირატესობისასაც რუსებმა, როგორც იქნა, შეაღწიეს მეტოქის ზონაში და ერთი-ორი დარტყმაც შეასრულეს, თუმცა **რობერტო ლუონგო** დამაჯერებლად თამამობდა. ცოტა ხანში **ვოლენკოვმა** შეტეტაში გაქცეული **სიდნი �**ის შეაჩერა აკრძალული ილეთით და ახლა კანადამ მიიღო რიცხობრივი უპირატესობა, რომლის გამოსაყენებლად მოედანზე "სან ხოსეს" სამეული გავიდა, გალი კი ამ გუნდის მცველმა პოილმა გაიტანა. მან **ნაბოკოვის** კარის მიმართულებით გაგზავნა შაიბა და თითქოს მეკარეს იოლად უნდა დაეჭირა ის, მაგრამ იმავე "სან ხოსეს" გოლკიპერმა დარტყმის მომენტში ვერ დაინახა და ანგარიში 2:0 გახდა. კანადა გაჩერებას არ აპირებდა და მეტოქეს ხისტად ხვდებოდა საკუთარ ცისფერ ხახთან. სწორედ იქ აართვეს **მალკინს** შაიბა **რიჩარდსმა** და **ტეუუზმა** და ბრნყინვალე კონტრშეტეტეა ნამოინყეს, რომელშიც ნარმატებით ჩაერთო **რიკ ნეშმ** - მან ტეუუზის პასი გამოიყენა.

მესამე გოლის შემდეგ რუსეთმა დგეკიანებული ტალიბ-აუტი აიღო, გონს მოვიდა და ერთი შაიბაც გაიტანა - **დმიტრი კალინინმა** დარტყმამ რიკოშეტით მიაღნია მიზანს. რუსეთს ასეთი ანგარიშით შესვენებამდე რომ მიეღნია, ბრძოლას კიდევ ექნებოდა აზრი, მაგრამ მეტოქეს კარის უანდან **ბრენდან მოროუ** ნამოვიპარა და ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეტანა შაიბა ნამოკოფის კარში.

რუსების დამრეგებელმა შესვენებაზე მდგომარეობის ოპერატიულად შეცვლა ვერ მოახერხა და მეორე პერიოდის სასტარტო ხუთ წუთში კანადამ კიდევ ორი შაიბა გაიგანა. ექვსი გამვეტული შაიბის შემდეგ ნაბოკოფი **ბრიზგალი** ვით შეცვალეს. 40 წამში კი **მაქსიმ აფანოფენოფი** ერთი ერთზე გავიდა ლუონგოსთან და ანგარიში 6:2 გახადა.

ამის შემდეგ მასპინძლებმა დაცვიდან თამაში დაიწყეს და აღარ ცდილობდნენ მეტოქის ფიზიკურად განადგურებას. ამ პირობებშიც **ეორ პერიმ** მაინც მოახერხა ფუძლის შესრულება - "ანაპოლიმის" ფორვარდმა **ერიკ სტაალისა** და გეტმეცფის შესანიშნავი კომბინაცია დაასრულა. ბოლო გოლი ამ მატჩში **სერგეი გონჩარის** ანგარიშზეა, რომელმაც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა.

მესამე პერიოდში ანგარიში აღარ შეცვლილა. კანადა აქკარად ძალის დაზოგავზე გადავიდა, რუსეთს კი შელახული ღირსების აღსადგენად არც მორალური და არც ფიზიკური ძალა აღარ ჰქონდა.

■ ■ ■

სპეციალისტთა შეფასებით, კანადის შეჭრების ყველაზე კარგი ბანსი შვედეთის ნაკრებს ჰქონდა, რომელიც აქამდე საკმაოდ კარგ ჰოკეის აჩვენებდა და სლოვაკეთთან მატჩში უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა. მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა სენსაციურად წააგო მეოთხედფინალი, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთრის თამაშებს ახალი გამარჯვებული ეყოლება. რაც ყველაზე მთავარია, სლოვაკეთის გამარჯვება სავსებით სამართლიანი იყო.

პირველი პერიოდი გუნდებმა დაზვერვას მოანდოთეს. სლოვაკები კონტრშეტეტევზე თამაშობდნენ, შვედები კი პიზიკიური შეტევთ ცდილობდნენ ფოხს გასვლას, მაგრამ ანგარიში არ ეახსნილა.

თითქოს ასეთი თამაში მატჩის ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა სლოვაკეთის ორმა გოლმა. მან ჯერ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა - მატჩის ერთ-ერთმა გმრმა **მარან პოსამ** გრძელი პასით **მარინან გაბორიკი** მონახა და "რეინჯერსის" ფორვარდმა ერთი შეხებით აიღო ახლო კუთხე. ერთი წუთის შემდეგ, **რიხარდ ზედნიკმა** კონტრშეტეავზე კარგი პაუზა გააკეთა და შაიბა თავისუფალ **სკეკრის** ბიანოდა - ისევ ერთი შეხებით დარტყმა და ისევ გოლი - 2:0.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ჩემპიონმა ჯერ მისსავე ზონაში ჩაკეტა მეტოქე, შემდეგ კი ისევე ერთნუთიან ინტერვალში ორი გოლი გაიტანა. ამ შტურმის სულისჩამდგმელი ლეგენდარული **პეტერ ფორსბერგი** გახდა. თავიდან მან კარის უანდან მიანოდა შაიბა **პორნკვისმს**, ვინც ერთი გოლი გაქვითა. ცოტა ხანში, ფორსბერგმა **პალკაის** კართან **მილან ოურჩინა** მეავიწროვა და ზეტერბერგის დარტყმის შემდეგ სლოვაკი მცველის ფეხიდან შეეარდა კარში შაიბა.

შვედების ასეთი "ფეთქების" შემდეგ სლოვაკების ჩავარცნა ლოგიკური იქნებოდა, თუმცა უმეტეს, რომ მეორე სუნთქვა გაეხსნა ფორსბერგს, რომელიც ხანდახან გენიალურ გადაცემებს არიგებდა. მაგრამ სლოვაკებმა არათუ გაძლეს, არამედ მორიგი რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს. მეორედ ასისტენტის როლში მარიან ჰოსა მოგვეელინა, გოლი კი თავის ანგარიშზე **პავოლ დემიტრამ** ჩაიწერა.

თითქმის მთელი მესამე პერიოდი "ტრე კრუნერ" პალკაის კარს არ მოშორებია, მაგრამ "მონრეალის" მეკარეს ვერაფერი მოუხერხა. მოგვიანებით კი მეედი მცველების - **ლიფსტრიომისა** და **კრონვალის** წყვილმა მორიგი შეცდომა დაუშვა (მათ სინდის'ზე იყო სლოვაკთა მეორე გოლიც). ამ დუეტს ისევ მარიან ჰოსა გაექცა და "ჩიკაგოს" ფორვარდმა მესამე საგოლე პასი ჩაიწერა აქტიფში, გოლის ავტორი კი **ტომაშ კობეკი** გახდა. 14 დაკმეიდან 4 გაშვებული გოლი - ასეთი "მონაგარი" ჰქონდა შვედების ბრნყინვალე მეკარე **პენრიკ ლუნდკვისტს**, თუმცა გაშვებუულ შაიბებში მას ბრალი არ მიუძღვის - სლოვაკებმა ყველაფერი ზედმინევნით ზუსტად გააკეთეს.

სკანდინავიელებმა კიდევ ერთხელ შეამცირეს სხვაობა - ჰალკაი ზონიდან მაიბის გაგანარსა. მეცდა, რითაც "ოტაკის" კაპიტანმა **ალფრედსონმა** იხეირა, მაგრამ მეტოქე გაკეთებუნ შეედეთმა ვერ ბეძლო.

■ ■ ■

კანადური ბრნყინვალების შემდეგ საკმაოდ მძიმე სანაბავი აღმოჩნდა ჩეხეთისა და ფინეთის დაპირისპირება - გუნდები ძირითადად საშუალო ზონაში მოთავსეკით იყვნენ დაკავებული.

ჩეხებმა ძალისმიერ ჰოკეიზე გააკეთეს აქცენტი, მაგრამ ხმირად ზედმეტი მოსცოიდათ და თითქმის მთელი პირველი პერიოდი **ვლადიმერ რუფიჩკას** გუნდმა რიცხობრივ უმცირესობაში გაატარა, თუმცა ფინეთმა მეტოქის ამგვარი გულუხვობა ვერ შეიერეო და პერიოდი უგოლოდ დასრულდა.

მეორე პერიოდი ჩეხებისა იყო. მათ შაიბაზე კონტროლი დაანნეს და შესაბამისად, უფრო ხმირად უტეეფდნენ **კიპრუსიოფის** კარს. აქაც, ისევე როგორც პირველ 20-წუთიანში, მაყურებელმა გოლი ვერ იხილა.

ფინელები უბრალოდ თავიანთ შანსს ელოდნენ, რომელიც მესამე პერიოდის დასრულებამდე რამდენმე წუთით ადრე მიიღეს, როცა ოფენტრალის ყველას გარდაუვალი ეგონა. **მარტინ ერაგმა**, რომელიც ამ მატჩისთვის პირველ სამეულში გადაიყვანეს, სულელური ჯარიმა მიიღო და ორი წუთით გაამეკეს მოედნიდან. **იანე ნისკალამ** ცისფერი ხაზიდან გაისროლა და შაიბას ოდნავ შეუცვალა მიმართულება **ტომაშ ეოკოუნს** კართან დადარაჯებულმა **ნიკლას პაგმანმა** - 1:0

იაგრსა და პარტნიორებს საკმარისი დრო ჰქონდათ სიტუაციის გამოსასწორებლად, მაგრამ ჩეხების მოქმედებაში გააზრებული კომბინაციები არ შეინიშნებოდა, ფინეთმა კი კარგად ითამაშა დაცვაში და მეტოქეს ერთი შანსიც არ დაუტოვა.

ასე რომ, საფინალო სირნაბედ ნუთ-ნახევრით აღრე ცარიელ კარში **ვალტერ ფილუულას** შაიბა სავსებით ლოგიკური ჩანდა. ფინეთი ნახევარფინალში გავიდა, სადაც მინი მატოქე ამერიკის ნაკრები იქნება.

■ ■ ■

პირველი მეოთხედფინალისტი სნორედ ამერიკის ნაკრები გახდა, რომელსაც ამ ეტაპზე სხვა გრანდებისგან განსხვავებით შედარებით იოლი მეტოქე ერგო - ზვეიცარია. თუმცა ისიც ყველას კარგად ახსოდა, რომ ეფროპელებმა ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ ბუელტების სერიით ნაადეს კანადასთან და დაამტკიცეს, რომ სუფთა კარ ჰაკეთ ხელნამოსაკრავი გუნდი.

ზვეიცარიელთა ლიდერია ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოთამაშე ბრნყინვალე მეკარე **ონნას პილერი**. ის ამერიკის წინაალმდეგაც საუკეთესო იყო მოედანზე და 42 წუთის განმავლობაში უმკლავდებოდა მეტოქეს გაუთავებელ შეტეტებს, მაგრამ ბოლოს მინც გაუუნა შაიბა "ნიუ ჯერსის" ფორვარდ **ზაკ პარზუნან**.

ბოლოს ზვეიცარია შეტყრშე გადავიდა და თამაშის გადარჩენა სცადა. ამისთვის მან მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალა, მაგრამ საკუთარ კარში მიიღო შაიბა - გოლის ავტორი კეკლავ პარზუ ბგახდა.

1/4 ფინალი

აშშ-ზვეიცარია 2:0

0:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 პარზუ-1 (რაფაელკო-2, შრამბენი-2), 2:0 პარზუ-2.

რუსეთი-კანადა 3:7

1:4, 2:3, 0:0

გოლები: 0:1 გეფცლაფი-2 (ბოილი-4, პრობეერი-3), 0:2 ბოილი-1 (მატჩი-3, ბარლი-3), 0:3 ნეშმ-3 (ტუუზი-4, ოირარდი-2), 1:3 კალინინი-1 (ოლეზენკიკოვი-1, ფიოდოროვი-4), 1:4 მოროზოვ-1 (ბოილი-5, კეტტი-4), 1:5 ჯარი-2 (გეფცლაფი-1, კეტტი-5), 1:6 უეზერი-2 (ტუუზი-7, ოვილლი-1), 2:6 ფეიზოფენოი-1 (ოვალეზკი-2, გრეტოვეოოი-1), 2:7 ჯარი-3 (კ. სტალეი-5, გეფცლაფი-2), 3:7 გიმნსონი-1 (მალკინი-3).

ფინეთი-ჩეხეთი 2:0

0:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 პაგმანი-3 (ნისკალა-1), 2:0 ფილუა-2 (ს. კოიუე-3).

ზვეიცარია-სლოვაკეთი 3:4

0:0, 2:3, 1:1

გოლები: 1:0 გაბორიკი-3 (მარნან ჰოსა-3, დემატრა-4), 0:2 ხეკერა-1 (ზეფნიკი-3, ბალეკი-3), 1:2 ჰორნეკეფტა-1 (ფორსბერგი-1), 2:2 ზატკოვსკეი-1 (ენსტრომი-1), 2:3 დეფტერა-1 (ბარნა-2, მარნან ჰოსა-4), 2:4 კოკეკეი-1 (მარნან ჰოსა-5, დეფტერა-5), 2:5 ალფრედსონ-3 (ბეეტერმანი-5, ეროლსონი-1).

1/2 ფინალი

26 თებერვალი

00:00 - აშშ-ფინეთი

06:30 - სლოვაკეთი-კანადა

ციმბირეთის სრბილი

საბლიკოვა ორგზისაა

ამოციზურავე ქალებმა ყველაზე გრძელ დისტანციაზე - 5 ათას მეტრზე გამოავლინეს გამარჯვებული.

ნელს სტაიერულ გარბენებში ბადალი არ ჰყავს ჩეხ **მარგარა საბლიკოვას**, რომელმაც ამჯერადაც დაამტკიცა თავისი ალსაი და ვანკუვერში ორგზის ჩემპიონთა რიგებს შეუერთდა. საბლიკოვამ ოლიმპიადის სტარტზე 3000 მეტრზე მოიგო ოქროს მედალი, ახლა კი გრძელ დისტანციაზეც იმარჯვა.

თუმცა ჩეხ სპორტსმენს სერიოზული კონკურენცია გაუწია გერმანელმა **სტეფანი ბეკერმა**. ამ მოეიგიურავეებს შორის სხვათა მხოლოდ 48 მეასედი ნამი იყო. ასეთი რამ კი სტაიერულ დისტანციებზე იმეიათად ხდება.

ბრინჯაო ანადეო **ალარა პიუზს** ერგო, რომელიც უნიკალური სპორტსმენი გახლავთ, რადგან ზამთრის და ზაფხულის ოლიმპიადებზე აქვს მედლები მოგებული. ზაფხულობით ის ველოსპორტში სპეციალიზდება.

5000 მ. ქალები

1. მარგარა საბლიკოვა (ჩეხ) - 6:50,91; 2. სტეფანი ბეკერტი (გერ) - +0,48; 3. ალარა პიუზი (კან) - +4,82; 4. ფანიელა ანშეტზ-ტოშმი (გერ) - +7,73; 5. მარგნ პაუელი (ნორ) - +11,28; 6. კრისტინა გროუსი (კან) - +13,66...

ეშდლეების ცხრილი

	ო	ვ	ბ	ს
1. გერმანია	8	10	7	25
2. აშშ	7	9	12	28
3. კანადა	7	6	2	15
4. ნორვეგია	6	6	6	18
5. ზვეიცარია	6	0	2	8
6. ს. კორეა	5	4	1	10
7. ავსტრია	4	3	4	11
8. ჩინეთი	4	2	2	8
9. ზვეიდეთი	4	2	2	8
10. რუსეთი	3	4	6	13
11. პოლონეთი	3	1	2	6
12. სლოვაკეთი	2	3	5	10
13. ავსტრალია	2	1	0	3
14. ჩეხეთი	2	0	3	5
15. სლოვაკეთი	1	1	1	3
16. ბრიტანეთი	1	0	0	1
17. პოლონეთი	0	3	1	4
18. სლოვენია	0	2	1	3
19. ლატვია	0	2	0	2
20. ტატარეთ	0	1	3	4
21. იაპონია	0	1	2	3
22. ბელარუსი	0	1	1	2
23. ხორვატია	0	1	1	2
24. ბაზანეთი	0	1	0	1
25. ფინეთი	0	1	0	1
26. ესტონეთი	0	1	0	1

შორტ-ტრეკი

წართმეული ჩემპიონობა

თეთქმის არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ შორტ-ტრეკის ქალთა ესტაფეტაში პირველობას ჩინეთისა და სამხრეთ კორეის ნაკრებები გაიოთამაშებდნენ. სიმართლე რომ ითქვას, ჩინეთის შანსები უფრო ფასდებოდა, რადგან ვანკუვერში ამ ქვეყნის ქალმა შორტ-ტრეკისტებმა ორი ოქროს მოგება მოასწრეს, იმ დროს, როცა კორეელთა მონაგარი მხოლოდ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალს შეადგენდა.

პროგნოზი გამართლდა. კორეა და ჩინეთი ერთდროულად დაშორდნენ კონკურენტებს და დიდხანს ერთად მიდიოდნენ ფინიშისკენ. სიტუაცია ესტაფეტის დასრულებამდე ოთხი წრით ადრე შეიცვალა. კორეელი **ჰა-ონ ჩო** სწრაფად დაშორდა ჩინელ **ჰუი ჟანს** და ბალე მისი უპირატესობა იმის თქმის საშუალებას იძლეოდა, რომ კორეა აქ ოქროს მედალს მოიგებდა. მართლაც, ეს დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და საპატიო წრეც დაარტყა მოედანს.

თუმცა ჩინელი მწვრთნელები ნაგებას არ შეურიგდნენ და პროტესტი შეტანეს. ჩოსა და ჟანის ბრძოლის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ მსაჯებმა ულნაური გადაწყვეტილება მიიღეს - მათ ჩათვალეს, რომ კორეელმა განზრახ ჩარაბა ხელი ლოყაში ჩინელს. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის, ჰუი ჟანს დიდი ხანი ეჭირა მარცხენა ლოყაზე ხელი. თუმცა მოყვარული გულშემატკივრის თვალით თუ შევაფასებთ, ჩოს შეხება უმნიშვნელო იყო და თანაც მას ეს შეგნებულად არ გაუკეთებია. მოუხედავად ამისა, მსაჯებმა კორეას დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, ჩინეთს ოქრო მიაკუთვნეს.

ქალები. 3000 მ. ესტაფეტა

1. ჩინეთი - 4:06,610; 2. კანადა - 4:09,137; 3. აშშ - 4:14,081; 4. პოლონეთი - 4:16120; 5. უნგრეთი - 4:17,937; 6. იტალია - 4:18,559...

ვეფრი მოსაგალა

გია თევალაგეიშვილმა

25.02. რუსთავი. ფოლადი
300 მაყურებელი

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ 3
ᲡᲐᲠᲗᲐᲙᲘ 1

1:0 ბერიაშვილი (9. ვასაძის პასით),
1:1 კლოვინი (22. ჩირიკაშვილის პასით)
2:1 ბერიაშვილი (37. ლიპარტიანის პასით),
3:1 ლიპარტია (70. ბერიაშვილის პასით)

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ: ა. მიქაბერიძე - ხუციანი (ვ. ვასაძე, ფ. ლომაია, ადამაძე (72. ბეჟვანია) - ვასაძე, რაზმაძე, გ. დათუნაშვილი - ჯანელიძე (80. გურეშიძე), ლიპარტია - ბერიაშვილი (71. კვარაცხელია).

ᲚᲐᲠᲗᲐᲙᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ: მანიაშვილი, კოტრიკაძე, კარსაძე.

ᲡᲐᲠᲗᲐᲙᲘ: ბასოიშვილი - ფოფხაძე, ბოიიმო, ბაქრაძე, მგალობლიშვილი - კანდელაკი (75. ბუზალაძე), თარხნიშვილი (86. უხურუნაშვილი) - მედ ნალო, ჩირიკაშვილი, კლოვინი - ფეკანოძე (68. ჩიგაძე).

ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ნონოსი, გ. კეკენაძე, სტეფანაშვილი

ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘ: რაზმაძე (56), ლიპარტია (97), კლოვინი (62)

ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ: ლ. კვარაცხელია

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲢᲐᲜᲐ

... მატჩის სანყისი წუთები მასპინძელთა აქტიურობით ნარჩამრთა და, ფაქტობრივად, პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დასრულდა! ახალგაზრდა **გიორგი ვასაძემ** მოეფინა სიღრმიდან ზუსტი პასი მიიღო, მეტოქის საჯარიმოშიც კარგად გაერკვა სიტუაციაში და „სპარტაკის" კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილ **გიორგი ბერიაშვილს** ზუსტი პასი მიანდა. „ვიტ ჯორჯიას" ცენტრფორვარდს სტუმართა კარის ალება არ ვასკონრებია; ეგ კი არა, ერთ წუთში (!) კინაღამ ოგივე განმეორდა: მასპინძლთა ასეევე ახალგაზრდა შემტეკმა **გიორგი ჯანველიძემ** გარღვევაზე კვლავაც ვასაძე გაიყვანა, რომლის პასის მერე ბერიაშვილი ახლო მანძილიდან ცდილობდა „დუბლის" შესრულებას, მაგრამ სტუმრის „მხსნელად" ხარხა მოევლინათ. ამის შემდეგ მოედანზე, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი ბურთაობა გაჩაღდა და პირველი ტაიმის ბოლომდეც მხოლოდ სამი დასამახსოვრებელი ეპიზოდი ვიხილეთ (თანაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აქედან ორი გოლით დასრულდა). ჯერ „სპარტაკის" პირველი სახიფათო შეტევა იყო, **ირაკლი ჩირიკაშვილმა** შორეული და ზუსტი პასით **ტიერი ანს ალოვინი** რომ მოძებნა - სტუმართა 17 ნლის (**საპასპორტო მონაცემებით ასეა - გ.ტ.**) შემტეკმა კი თავური დარტყმით მასპინძლთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა. „ვიტ ჯორჯია" კი ანგარიშში, მართლაც, ეფექტური სამსეალიანი კომბინაციის შემდეგ დანინაურდა: გიორგი ჯანველიძის მოხდენილ პასს **ჯაბა ლიპარტიას** ინდიგიდუალური ოსტატობა მოჰყვა, შეტევა კი გიორგი ბერიაშვილმა დასარული - ბოლო ორ შეხვედრაში სამი გოლი რომ გაიტანა. და მაინც: „სპარტაკს" კვლავაც შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთს ხელოვნმა ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი მიზნის აცილა.

მასპინძლები მეტოქეს თითქმის ყველა კომბინენტში ხჯობდნენ და ბევრს რომ ეგონა, მეორე ტაიმიც იმავე სცენარით ნარჩართრბოდა, ასე არ მოხდა. ყოველ შემთხვევაში, მეორე ტაიმის 25 წუთი ისე მიიღია, „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებს ერთხელაც არ დაურტყამთ **ზურაბ ბათიაშვილის** კარის მიმართულებით. სამაგიეროდ, სტუმრები აშკარად მოტივირებულნი გამოვიდნენ მოედანზე და ერთი-ორი სახიფათო მომენტიც შექმნეს მასპინძელთა კართან. ერთ ეპიზოდში **ნოდარ მგალობლიშვილის** მორეული და ძლიერი დარტყმა არდაალინო მიქაბერიძემ მოიგერია, შემდეგ კი **პატრიკ მედ ნალომ** საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან მეტისმეტად

გიორგი ბერიაშვილმა დუბლი შეასრულა

ᲓᲦᲔᲡ

ᲝᲚᲘᲜᲯᲘ-ᲡᲘᲝᲜᲘ

26.02. რუსთავი.
ფოლადი
14:00

ᲬᲘᲜᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ: 3:0, 6:0

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: Გ. კეკენაძეები
ᲞᲐᲠᲢᲘᲪᲘᲞᲐᲜᲢᲘ: Გ. ᲫᲐᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Რ. ᲛᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔᲚᲘ
ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲠᲘ: მ. ᲧᲣᲠᲣᲨᲘᲫᲔ

ᲑᲐᲘᲐ-ᲑᲐᲒᲠᲐ

26.02. ᲮᲣᲜᲯᲣᲚᲘᲐ.
გ. თუთბერიძე
14:00

ᲬᲘᲜᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ: 2:2, 0:1

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: Გ. ᲒᲣᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲞᲐᲠᲢᲘᲪᲘᲞᲐᲜᲢᲘ: Გ. ᲩᲘᲒᲐᲫᲔ, Რ. ᲧᲣᲠᲪᲔᲑᲐ
ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲠᲘ: Გ. ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ-ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ

26.02. თბილისი.
ამერი
14:00

ᲬᲘᲜᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ: 0:3, 0:2

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: Გ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ
ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲘ: Მ. ᲭᲔᲚᲘᲫᲔ, Გ. ᲧᲠᲭᲘᲐᲜᲘ
ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲠᲘ: Გ. ᲩᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ

ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ-ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

26.02. ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ.
ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ
19:00

ᲬᲘᲜᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ: 4:1, 0:2

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: Ლ. ᲡᲘᲠᲐᲒᲐᲫᲔ
ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲘ: Შ. ᲛᲣᲠᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Შ. ᲤᲘᲤᲘᲐ
ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲠᲘ: Გ. ᲯᲐᲥᲔᲚᲘᲫᲔ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲢᲐᲜᲐ

ᲮᲣᲗ დღეში მეორე გამარჯვება და „ვიტ ჯორჯია" კვლავაც პირველ სამეულშია! რაც მთავარია, ზედიზედ ამ ორი ნარმატებით **ეკლა გომელაურის** გუნდმა, სულ მცირე, ერთი ღღეთ თავისი უპირნცისტულეს მტკიცე, თბილისის „დინამო" ჩამოიტოვა. არც ის ფაქტია უმნიშვნელო, რომ მოქმედმა ჩემპიონმა ამ სეზონში მესამე ჯერზეც შეძლო არცთუ სუსტი „სპარტაკის" დამარცხება. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ „ვეტერინართა" გუშინდელ თამაშში სულაც არ იგრძნობოდა ოთხი ღღის წინანდელი უმძიმესი მატჩის კვალი. უფრო პირიქით იყო (განსაკუთრებით პირველ ტაიმში): მასპინძლები საკმაოდ ენერგიულად ასპარეზობდნენ და მაკსიმალურად ცდილობდნენ, შეტევებიც მრავალფეროვანი ჰქონოდათ. არადა, „ვიტ ჯორჯიას" საკადრო პრობლემა... მატჩის დანყებამდეც შეექმნა: ძირითადმა მეკარემ **გრიგოლ ბეღიაშვილმა** მოთეელეზზე ტრავმა მიიღო და თავისი ადგილი **არდალინო მიქაბერიძეს** დაუთმო. ამის გარდა, წინა მატჩისგან განსხვავებით მასპინძელთა ძირითადში მხოლოდ ერთი ცვლილება იყო: **დავით ლომაიძ**ე დაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი, მანამდე ამ პოზიციაზე მოთამპარეზე **ბურამ ადამაძე** კი დაცვის მარცხენა ფლანგზე ეკადაგიდა.

დანაკლისი ჰქონდათ სტუმრებსაც: საყრდენი ნახევარმცველი **ნიკა მგელაძე** „სპარტაკში" იყარჩოთ სწორედ „ვიტ ჯორჯიისგან" არის გადასული და კლუბებს შორის მოლაპარაკების თანახმად, შეხვედრაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. ან, რაც შეეხება მარცხენა გარქმარს **ნიკოლოზ მთისურაძეს**, ეს ახალგაზრდა შემტეკი მაგრს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა.

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲐᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ

გია ᲗᲣᲠᲑᲐᲫᲘᲚᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-ᲗᲑᲘᲡᲘ

	Თ	Მ	Ფ	Მ	Დ	Ბ	Ქ
1. ᲝᲚᲘᲜᲯᲘ	20	16	3	1	47-13	51
2. ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ	22	14	6	2	40-19	48
3. ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ	21	11	7	3	31-20	40
4. ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	21	11	5	5	36-14	38
5. ᲡᲐᲠᲗᲐᲙᲘ	23	8	6	9	30-36	30
6. ᲡᲐᲛᲔᲠᲔᲓᲘᲐ	21	6	4	11	27-42	22
7. ᲡᲘᲜᲘᲜᲘ	21	3	9	9	12-27	18
8. ᲑᲐᲘᲐ	21	4	4	13	16-29	16
9. ᲑᲐᲒᲠᲐ	21	3	5	13	20-40	14
10. ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ	21	1	9	11	8-27	12

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ცხრილში ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის „ᲮᲝᲜᲘ"-"ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡ" მატჩად დაკავშირებული სფეინის საფიცარლინო კომიტეტის გადაწყვეტილება

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘ (ᲝᲚᲘᲜᲯᲘ)	19
ᲒᲚᲔᲣᲙᲕᲘᲚᲘ (ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ)	15
ᲙᲘᲠᲐᲙᲘᲡᲚᲘᲐ (ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ)	11
ᲑᲐᲒᲔᲚᲘᲐ (ᲑᲐᲒᲠᲐ)	10

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲜᲘ ᲢᲣᲠᲘ
6 ᲛᲐᲩᲐᲠᲘ, ᲨᲔᲯᲐᲛᲘ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲝᲚᲘᲜᲯᲘ
ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ-ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ
ᲡᲘᲜᲘᲜᲘ-ᲑᲐᲘᲐ
ᲑᲐᲒᲠᲐ-ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲡᲐᲠᲗᲐᲙᲘ-ᲡᲐᲛᲔᲠᲔᲓᲘᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ

ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲛᲐᲩᲐᲠᲘ

ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲪ ᲓᲐ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ...

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲘᲝᲢᲨᲘ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ

ᲡᲣᲚ ᲠᲐᲪᲐ ᲮᲣᲗᲘᲛᲔᲯᲘ ᲓᲦᲔ და საქართველოს ეროვნული ნაკრების თაკვაცის პოსტზე **თემურ ქაცბაია** ესტონეთთან ამხანაგურ შეხვედრაში დებიუტი ელის. ამ თამამისთვის ნაკრებში გამოძახებეთოთ შემადგენლობა, რომელშიც 21 ფეხბურთელია, უკვე გაგაცანით. იმ ჩამოთვალილებან, ესტონელებთან მატჩში რამდენიმე ფეხბურთელის თამაშის საკითხი იყო საეჭვო და ახლა სწორედ ამაზე უნდა მოგიხთხოთ.

უკვე გიცნობეთ, რომ დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ნახევარმცველი **ჯაბა კანკავა** საკონტროლო შეხვედრაში დაშავდა. 3 მარტის მატჩში მისი მონაწილეობა გამორიცხულია. მსუბუქი ტრავმა ჰქონდა მახარკალის „ანგიდან" ნიანი ნოეგროროს: „ვოლგაში" განათხოვრებულ ფორვარდ **ოთარ მარცვალაძეს**. თუმცა ოთარი უკვე კარგადაა და ნაკრებს მოსამზადებელ შეკრებაზე შეუერთდება.

ამ 4-5 დღის წინ ეწერდით, ნაკრების კაპიტანს **კახა კალაძისა** და მცველ **ილია კანდელაკის** დამავების შესახებ. ჩვენი ინფორმაციით, კანდელაკი უკეთთაა და ალბათ თამაშსაც შეძლებს. რაც შეეხება კალაძეს, „მილანის" ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ცნობის თანახმად, კახას კერძოთ დაეჭიმა. ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და კახას გუშინ „მილანში" დავუკავშირდით.

„ᲯᲣᲜᲗᲘ ᲛᲫᲘᲜᲓᲐ დაჯიმული და რამდენიმე ღღის განმავლობაში მაწუხებდა. თუმცა უკვე მწყობრში ვარ. 24 თებერვლიდან მოყოლებული, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და ნაკრებშიც ვთამაშობ", - გვითხრა კალაძემ.

ევროპის ლიგის 1/16 ფინალში **ლევან კობიაშვილის** „ᲰᲐᲠᲤᲐ"-"ᲑᲔᲚᲤᲘᲣᲚᲘᲡ" საპასუხო შეხვედრაში (4:0 პორტუგალიური გრანდის სასარგებლოდ) არ უთამაშია. ᲑᲝᲠᲯᲒᲠᲘᲒᲘᲐ, კობის მდგომარეობითაც დავინტერესდით და დამაიმედებელი ინფორმაცია მივიღეთ. როგორც ირკვევა, ლევანს სურდა აქეს და მაღალი სიცხის გამო გუნდს პორტუგალიაში, ლისაბონელებთან საპასუხო მატჩში მონაწილეობისთვის ვერ ნაპყრა. ლევანი ახლა კარგად გრძნობს თავს და დიდი შანსია ხვალ, 27 თებერვალს ბუნდესლიგის მორიგ ტურში „ᲰოფᲤᲚᲐᲘᲤᲐᲜᲘᲡ" სანინაო მეხვედრაში ითამაშოს.

ახლა ესტონელებზე ვთქვათ. ბალტიისპირეთში ორმაბათს, 1 მარტს საღამოს გვეწევიან. **ტარმო რუუტლის** გუნდი, ახალგაზრდული ნაკრების დარად, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდება და ორშაბათს საღამოს მსუბუქ ვარჯიშს ჩაატარებს. ესტონელთა დარად სასტუმროში, მაგრამ „თბილისი მარიოტში" იცხოვრებს ჩვენი ეროვნული გუნდი. ქეცბაია ლამქარს კვირას, 28 თებერვალს შეკრებს. 1-ელ მარტს გუნდი უკვე სრული შემადგენლობით იქნება.

დაბოლოს, 3 მარტს საქართველო-ესტონეთის ახალგაზრდული ნაკრების მატჩი (ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი) მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 13 საათზე დაინყება. თამაშზე დასწრება უფასოა. იმავე ღღეს, 19 საათზე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველო-ესტონეთის ეროვნული გუნდების ამხანაგური შეხვედრა აიღება სტატუს. ამ მატჩზე დასასწრები ბილეთების ფასი 3 და 5 ლარია. მხოლოდ ერთი სექტორის ბილეთის ფასი იქნება 10 ლარი. ბილეთების გაყიდვა ეროვნული სტადიონის სალარიებში ორშაბათიდან, 1-ელი მარტიდან დაინყება.

თემურ ქეცბაია

დავით ᲪᲐᲑᲐᲫᲔ

ინტერვიუ

ოთარ გაგელია

არმიული სიმკაცრე გვექნება

გაგელია მოგილურეგს კრძალავს. რა ანგარიშიც უნდა იყოს, გოლო წუთეგამდე თავი უნდა მოვიკლათო...

ოთარ გაგელია ხვალ ახალგაზრდულ ნაკრებს შეკრებს და ევროპეთთან 3 მარტის მატჩისთვის მზადებას შეუდგება. ეს იქნება ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა, რომელსაც ჩვენი გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე, ოთარ გაგელია ფეხბურთელებისგან განსაკუთრებულ მობილიზებას ითხოვს...

– მცხეთის ბაზაზე ეროვნული ნაკრები შედის და ამის გამო, ჩვენ შეკრებას 27 თებერვალს დავიწყებთ და „თბილისი-მარიოტში" დავბინავდებით.

- „მარიოტი" რუსთაველის პროსპექტზე, ხმაურიან ადგილზეა. ეს ფეხბურთელებს კონცენტრაციაში ხელს არ შეუშლის?

- არ შეუშლის, რადგან ოთახები ერთ სართულზე ვიქერავთ და ფანჯრები ქუჩის მხარეს არ არის. რომც იყოს, ესეც არ იქნება პრობლემა, ხმაური მაინც არ შეგვაწუხებს. ესტონელებთან მატჩისთვის განსაკუთრებულ მზადყოფნაში უნდა ვიყოთ და ამიტომ, ფეხბურთელებს წინასწარ ვაფრთხილებ - ამ შეკრებაზე არმოული სიმკაცრე გვექნება, მობილურები არ ნამოიღონ, ვინმემ რომ არ შეაწუხოს - იქით მეგობრები, ახლობლები, აქეთ ოჯახის წევრები... ვინც ამ მითითებას არ დაემორჩილება, მინ გავუშვებთ. დისციპლინა და მატჩისთვის მობილიზება ნარმატების უმთავრესი საფუძველია. და კიდევ - ჩვენთან შეუთანხმებლად, ფეხბურთელებს ვერავინ ნახავს. იმედი, მეგიაც გაგვიგებს. თუმცა მესმის ჟურნალისტების დაინტერესებაც, ვიცი ამ ყველაფრის მნიშვნელობა და ხელს არ შეგიშლით. ინტერვიუებისა და კომენტარებისთვის, ვარჯიშამდე ან მის შემდეგ, 10-15 წუთი გეყნნებათ.

- ვარჯიშები ღია იქნება?

- ვარჯიშზე დასწრება პრობლემა არ იქნება. ვიმეორებ, მე გუნდში სიმკაცრის დამკვიდრება მსურს და არა მეფილისთვის ხელის შეშლა. ახლა ფეხბურთელებს სერიოზული კონცენტრაცია მოეთხოვებათ. რასაც ვამბობ, ახალი არ არის. მოკლედ, ყველს ვთხოვ, ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდოს.

- სად ივარჯიშებთ?

- თუ ქვეყანა არ დაიქცა, თენგი ზულაკეველიმ ის აკადემიამი, თუმცა ორჯერ ვარჯიშები არ დამიგეგმავს. ისე, რთულ მდგომარეობაში ჩავცივდით, რადგან 27 თებერვალს ყველა მოთამაშე ვერ შეიკრიბება. მაგალითად, ირაკლი კლიმიაშვილს ოფესის „ჩერნომორეცში" მაგრი აქვს და მხოლოდ 28 თებერვალს შემოგვიერთდება. 28 დღეს უნერეთის „დინორ ეტოს" ფეხბურთელებიც თამაშობენ და ალბათ, 1-ელ მარტს ჩამოვლენ. ასე რომ, გუნდი სრულად თამაშამდე მხოლოდ სამი დღით ადრე თუ შეიერიბება.

- ანანიმე დროულად ჩამოვა?

- დიახ, ჯანო 27 თებერვალს ჩამოდის, ისევე, როგორც რეგაზ ბარიანიძე „ანჟიდან". ივანიშვილი კი 28 თებერვალს დილით ჩამოფრინდება... როგორც ხედავთ, კლუბები მოთამაშეების დროულად არ უშვებენ, რაც გარკვეულ პრობლემებს გვიქმნის. ფაქტობრივად, სრული გუნდით მხოლოდ ორჯერ, 1-ელ და 2 მარტს ვივარჯიშებთ. არადა, რთული შეხვედრა გველის, ესტონეთი სახიფათო გუნდია და სერიოზული მოამზადია საჭირო. ერთი ისაა პოზიტიური, რომ ყველა გამოძახებული კარგადაა ნავარჯიშები და აქედან გამომდინარე, მაინც იმედისაგან ვარ განნყობილი.

- ლევან ძმკელიძე თბილისშია და მის გამოძახებაზე არ გიფიქრია?

- ძალიანაც მსურდა მისი დამატება, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა არა აქვს და ვერ გამოვიძახებ. საწყენია, რომ ამგამად კლუბში არ ვარჯიშობს, არადა, ძმკელიძის სახით დიდი ძალა შემოგვმატებოდა.

- ესტონელთა მთავარი მწვრთნელი ფრანკ პერნპარტი ამბობს, 3 მარტს გადამწყვეტი შეხვედრა გვაქვსო...

- (იცინის) ხომ იცით ჩვენი ხალხის ბუნება? უცხოელი მწვრთნელები ზედიზედ აგებდნენ და მანიც ვამბობდით - ვაცალოთ-თქო, ქართველ მწვრთნელებს კი სად გვაქვს ასეთი იოლი ცხოვრება. ასე რომ, ყველა შეხვედრაში უნდა ვიბრძოლოთ, რათა გუდშემატკიცარს იმედები არ გავუცრუოთ. ბუნებრივია, ესტონეთთან ჩვენი ანგარიშიც გვაქვს - პირველი შეხვედრა ტალინში ნავაგეთ. ჩვენი მიზანი ეროვნული ნაკრებისთვის კადრების მომზადებაც არის და არა მხოლოდ კონკრეტული შედეგის მიღწევა. ამავე დროს, ჩვენს ქომაგებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ის მატჩი შემოხვევით წავაგეთ. 3 მარტს კარგი თამაშის იმედი გვაქვს. პირველი მატჩის წაგებისთვის სრულფასოვანი რეკანში უნდა ავიღოთ. თუმცა ეიმეორებ - რთული შეხვედრა გველის.

- თებერვალში ესტონელებმა ფინეთსა და ლიტვასთან საკონტროლო შეხვედრები გამართეს. ამ შეხვედრების ჩანაწერები თუ მოიპოვეთ?

- ვცდილობდით, მოგვეპოვებინა, მაგრამ ესტონელებმა არ გამოგვიზავნეს. სხვათა შორის, შემოდგომაზე გამართული მატჩის ჩანაწერი რომ მოვითხოვეთ, დისკი გამოგვიგზავნეს, მაგრამ... რად გინდა - ცარიელი აღმოჩნდა.

- მწვრთნელები ტაქტიკას განსხვავებულად აგებენ - მატოოს მიხედვით, ან საკუთარი თამაშის შეთავაზებით. თქვენ ამ საკითხს როგორ წყვეტთ?

- რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, თუმცა ესტონეთის ნაკრების გასლაგებასა და სტილს აუცილებლად გავითვალისწინებთ. ბალტიისპირელებმა გასცდნენ მეტი ქუთა მოიპოვეს, ვიდრე შინ - შვეიცარიას მოუგეს, თურქეთთან ფრედ ითამაშეს და ეს საყურადღებო ფაქტია. ასე რომ, დიდი სიფრთხილე და გონიერული თამაში გვმართებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთლიანად მათ მოქმედებებზე აეენყობით. ესტონეთის ტაქტიკა, კონტრშეტევებს ეყრდნობა, ფრთხილ და ჩასაფრებულ ფეხბურთს თამაშობენ. ბურთთანაც საკმაოდ კარგად არიან. ბრაზილიელებივით ტექნიკურები არ არიან, მაგრამ პროგრესი აშკარად ეტყობათ. რაც მთავარია, სათამაშო დისციპლინა ძალაან დონეზე აქვთ. ჩვენ რომ არასაფეხბურთო და დაბალი დონის წარმოვიდგენენა, ასეთი ესტონეთი წარსულს ჩაჰპარდა. არასერიოზულია ლაპარაკი, რომ აუცილებლად უნდა მოვუგოთ, ეს მოძეგილებული შეხედულებაა და ჩვენი შესარჩევი ჯგუფეთიაც დასტურდება. ასეთი ლაპარაკი უნდა დასრულდეს და ბალტიისპირელებს უნდა შევხედოთ, როგორც ძლიერ და დაბალანსებულ გუნდს. ბოლოს და ბოლოს, ესტონეთი 9 ქულით ჯგუფის ლიდერებშია.

- მეტოქე ბრძოლისუნარიანია და როგორც უნდა დავიცვათ სათამაშო დისციპლინა, დიდი ძალისხმევის გარეშე მოგება შეუძლებელი იქნება...

- უფრო ბრძოლისუნარიანები ირლანდიელები არიან. ნახეთ მათი ნებისმიერი ნაკრები - მუსაილია, ელსანი არ გამოირჩევიან, მაგრამ ბოლომდე იბრძვიან და მოიგანაზე ეკარ დებენ. თავად ერია გულაღი და ამიტომაც ყველასთან ოფობენ, იციან, რომ ქვეყნის ღირსებას იცავენ. ეს არის ჩემი ოცნება - რა ანგარიშიც უნდა იყოს, ბოლო წუთებამდე თავი უნდა მოვიკლათ, შეხვედრა ჩვენთვის სასურველი შედეგით რომ დავასრულოთ. იმედია, ბიჭები თამაშის მნიშვნელობას აცნობიერებენ და გულთანად ითამაშებენ.

ლეგიონერი

გაბედავა, ილიჩევეიცის ნომერი 55

უკრაინაში ვერ გაიგეს: გაგრა ქართულია!

მარიუპოლის „ილიჩევეცმა" ახალწვეულების სია გამოაქვეყანა: ზამთარში კლუბმა რვა ახალი მოთამაშე დაიმატა, რომელთაგან ხუთი ძირითად შემადგენლობაში მოხვდა - მათ ძორისაა „გაგრას" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსმელი გიორგი გაბედავა.

კლუბის ინფორმაციით, გაბედავამ, რომელმაც კონტრაქტი (0,6+2) ორშაბათს გაიგორმა, „ილიჩევეცში" 55-ნომრიანი მისაურით ითამაშებს. თუმცა, კლუბის პრესსამსახურმა საკმაოდ „ჯერა".

„გაბედავა ადრე საქართველოს ჩემპიონატში ზუგდიდის „შელტასა" და „გაგრაში" თამაშობდა. მიმდინარე სეზონში კი, გამოდიოდა რა აფხაზურ კლუბში, 19 შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა", - იუწყება „ილიჩევეცის" ოფიციალური ვებგვერდი. ვერაფერს იტყვი, საოცარი ინფორმაციაა.

სხვათა შორის, სამი წლის წინაც მოხდა მსგავსი რამ: „გაგრა" ანთალიაში უკრაინის უმაღლესი ლიგის მამინდელ მონაწილე „ბარკოს" შეხვდა და ამ კლუბმა არანაკლებ ამსუფდული ინფორმაცია გაავრცელა - აფხაზეთის ჩემპიონატის მონაწილეე გუნდს შევხვდითო (?!). მაშინ კლუბის ხელმძღვანელებმა იატბეურეს და დილით გამოქვეყნებული ინფორმაცია უკრაინელებმა სალამოს ბოდიშის მოხდითა და დაზუსტებული ცნობით შეცვალეს.

უკრაინული ინტერნეტგაზეთის „სპორტ-არენას" ინფორმაციით, მარიუპოლელთა მთავარ მწვრთნელ ილია ბლიზნიუკს ქართველი თავდასმსმელი თურქულ შეკრებაზე მოიწონა - ბეგახსენებთ, რომ „გაგრამ" „ილიჩევეცთან" საკონტროლო შეხვედრაში 3:0 მოიგო, გაბედავამ კი დუბლი შეასრულა.

მარიუპოლელთა პრესსამსახურის ინფორმაციით, გაბედავას ფებრუარს უკრანის ჩემპიონატის პირველივე შეხვედრაშია მოსალოდნელი - „ილიჩევეცი" 28 თებერვალს ზაპოროჟიეში „მეტალურგთან" ითამაშებს.

გიორგი გაბედავა

გენდელას თასი

გამარჯვებული დინამოა

ფეხბურთის ფესტივალი

11-25 თებერვალს ოსეთსა და ზაზა ბენდელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი „ბენდელიას თასის" მე-19 გათამაშება გაიმართა. დარბაზის ყველაზე პოპულარული ქართული გათამაშება სტანდარტულ მოედანზე პირველად ჩატარდა და ამიერიდან, ეარობინი ფუნქციის ნაცვლად, გუნდების სეზონისთვის მომზადების რული დიეკისრა.

მეცხრამეტე გათამაშებში მონაწილეობდნენ თბილისის „დინამოს", რუსთავის „ოლიმპის", „გაგრას" და „ზესტაფონის" დუბლშემადგენლობები, აგრეთვე, რეგიონალურიგის „ლუმეთი".

ფინალამდე „დინამომ" და „ზესტაფონმა" მიაღწიეს. მანამდე, „ზესტაფონმა" რუსთავის „ოლიმპთან" 1:2 ნაგაო. იმერლებმა თბილისის „დინამოსთანაც" დათმეს - 3:5. პირველად კი მესამე ტურში, „დუბლთათან" გაიმარჯვეს - 2:1. ბოლო მატჩში „ზესტაფონმა" „გაგრას" დუბლშემადგენლობასაც იმავე ანგარიშით (2:1) სძლია, ჯგუფური ეტაპი 6 ქულით დაასრულა და მეორე ადგილზე გავიდა, რაც ფინალში თამაშის უფლებას იძლევდა.

ჯგუფური ეტაპის გამარჯვებული კი „დინამო" გახდა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო - პირველ ტურში „გაგრას" 5:0 სძლია, მერე 7:2 „დუბლთს". შემდეგ იყო ხსენებული 5:3 „ზესტაფონთან" და ბოლოს 1:0 მასპინძელ „ოლიმპთან".

ფინალი კი გუშინ რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე გაიმართა: შეხვედრა დამატული, ლამაზი და უხვგოლიანი აღმოჩნდა. ძირითადში დროს გამარჯვებული ვერ გამოავლინა - 3:3. „დინამოსგან" თავი ხაზალიან, ჩრეიმმა და კეკელიან გამოჩინნენს. „ზესტაფოფინდან" კი გიორგი ჩიხლაძემ (2) და ლომიან მითიოვეს. პენალტების სერია უკეთ შეასრულეს დინამოელებმა - 5:4. მოკლედ, ტურნირის მსაღლეობისს მტკიცე მეორედ დაამარცხეს და „ბენდელას თასს" დაეუფლნენ.

ტურნირის ორგანიზატორებმა სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოებიც დასასახელეს:

მეპარე: ნუგზარ ლობჟანიძე (ოლიმპი).

მეკვეთ: ბურაშ მინდორაშვილი (დინამო)

ნახევარმცველი: ვალერი კილასონია (ოლიმპი)

თავდამსმელი: ხაბა ლომია (ზესტაფონი)

გოლბალრიცხვი: ნიკოლოზ ჩიხლაძე (ზესტაფონი, 4 გოლი)

ყველაზეს მეშვიდული ფეხბურთელი: როსტომ ენანაძე (ზესტაფონი)

აღმოჩენა: ზურაბ ღირდალაძე (ზესტაფონი, 15 წლის)

სიმამაცისა: შალვა კვანტალიანი (გაგრა)

საუკეთესო ფეხბურთელი: რობერტინო (დინამო)

მწვრთნელები: დავით კვეციშვილი (დინამო) და ბურამ ასპანიძეაშვილი (ზესტაფონი).

საუკეთესო მოთამაშეებისთვის პრიზები და ფულადი ჯილდო (200 ლარი) ქვეყნის ქარილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით კირკიტაძემ დაანნა, ფინალს ტურნირის პარტნიორები, სპორტის დეპარტამენტისა და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები (დავით ნამგალაური და ზვიად სიჭინავა) ესწრებოდნენ და გამარჯვებული „დინამოს" თასი, გამორჩეული მოთამაშეებს კი პრიზები გადასცეს.

ფუფუადი ჯილდო იყო გათვალისწინებული ცნობილი მწვრთნელის, თენგიზ კუბლაშვილისთვის, რომელიც „ბენდელას" დაარსების სათავეებთან იდგა.

„ამაყოფილი ვარ, ხოლო რაც შეეხება იმას, გაამართლა თუ არა „ბენდელას" ახალმა ფორმატმა, ამაზე სპეციალისტებმა ილაპარაკონ. ვფიქრობ, დუბლშემადგენლობის სეზონის დაწყებამდე და ტალანტების აღმოსაჩენად „ბენდელას" ასეთი გათამაშება საჭიროაა და აუცილებელიც. პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ გმირებს დაფასება სჭირდებათ, ფეხბურთის კი მიხედეა. ჩვენმა თანამგზამებმა, ქუქმი ქარილის ადმინისტრაციამ, ფეხბურთის და თბილისის ფედერაციებმა, სპორტის დეპარტამენტმა ყველაფერი გააკეთეს, ორიგე ეს საქმე კარგად რომ გამოსულიყო. მადლობა უნდა გუთხრა რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და „ფოლადის" სტადიონის ადმინისტრაციებს, რომლებმაც „ბენდელას" ორგანიზაციაში უდიდესი დახმარება გაგვიწიეს. მე ყოველთვის ბაზს ვუყავარ იმ ადამიანების დამსახურებას, რომლებიც გვერდში გვიდგანან. ეს ჩემი აზრები არ არის, ის ხალხი უნდა დავეფასოთო, ვინც პირადენელად გვერდში დაუდგა არა ქარილოს ჭუმბერიძეს, არამედ გმირი ვაჟაცის ხსოვნას ეთაყვანება და ქარილელი ფეხბურთოლებისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს. ამ ტურნირის მთავარი დანიშნულება სწორედ ესაა", - ვვითხრა „ბენდელას" თასის დამაარსებელმა და ორგანიზატორმა ქარილოს ჭუმბურიძემ.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

სამტრედია ინტერვიუ ზაზა ადეიშვილთან

პრეზიდენტის ოპტიმიზმი

„სამტრედიამ" რეგბელთა ბოლო ეტაპი ზედიზედ სამი ნაგებით დაინყო, თუმცა თუ ამ გუნდის მებრძოლ სულსა და მონდომებულ თამამს გავითვალისწინებენ, იმერლებისგან სიურპრიზებს კიდევ უნდა ველოდეთ. გუნდის პრეზიდენტი ზაზა ადეიშვილი ყველაფრის მიუხედავად იმედიანადაა განწყობილი და გუნდს უმალ ლეგა-ში ლიგაში ადგილის შენარჩუნებას კი არა, მე-5 ადგილზე გასვლას უსახავს მიზნად. „სამტრედიის" პრეზიდენტმა ჩვენთან საუბარი „ლელოში" ამას წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუს გამიმბარებით დაიწყო, სადაც გუნდის ყოფილი ფეხბურთელი ლაშა ვაშაკიძე „სამტრედიაში" შექმნილ რთულ პირობებზე საუბრობდა...

- ამას წინათ, „ლელოში" ჩვენი ყოფილი ფეხბურთელის ლაშა ვაშაკიძის ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ფეხბურთელმა ისეთი თემა გააჟღერა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მისი ნათქვამი გულზე მომხვდა პირადად მეც და გუნდის ყველა ნევრსაც. ადამიანი, რომელიც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა, ჩვენს ჭირსა და ლხინს იზიარებდა, ძალიან ცუდი ტონით ლაპარაკობს ყოფილ

ზაზა ადეიშვილი

გუნდზე. სიღარიბე არ არის კაცის ცოდვა. არ ვმალავ, რომ „სამტრედია" ღარიბი, მწირი ბიუჯეტის გუნდია, მაგრამ ამ გუნდში ფეხბურთელს პატივს სცემენ და მთა მინინანლურ პირობებს უქმნიან. შემიძლია ღმერთის წინაშე დავიფიცო, რომ ჩვენი გუნდი მხოლოდ ძეხვით არ იკვებება. ჩვენს ფეხბურთელებს საკმაოდ ნორმალური კვება და მინიმალური სავარჯიშო პირობები აქვთ. ასე რომ არ იყოს, ის შეედგიც არ მოვიდოდა, რომელსაც გუნდმა რეგბილიგის პირველ ეტაპაზე მოაღნია. როგორც ხედავთ, სამტრედიაში ყოველთვის ივსება სტადიონი და არც ამ რაოდენობის გულშემატკივარი მოიფიდავა სტადიონზე, სამტრედიაში ფეხბურთელებისა და ფეხბურთის მიმართ აგდებული დამოკიდებულება რომ ყოფილიყო...

- თუ მისი ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამება, ყოველივე ამის გამოგონება რაში უნდა დასჭირვებოდა?

- ლაშა ვაშაკიძე ძალიან მიყვარს როგორც ფეხბურთელი და პიროვნება. პირადად მე მისი გუნდში დატოვების მომხრე ვიყავი, მაგრამ მწვრთნელებმა სხვა გადაწყვეტილება მიიღეს. სამწუხაროდ ლაშამ ხასიათის ცუდი შტრიხი გამოავლინა და გული გვატკინა. ასე არ შეიძლება, რაც უფრო ნაკლებობლბანი იქნები კაცი, მით უფრო დაგიფასებენ. ეს შრომა. გუნდიდან რომ მიდიოდა, მოვეფერე და ვუთხარი, ლაშა, ასე ხდება ხოლმე, გუნდიდან მიდიან და ისევ

- ვფიქრობ, ზამთრის შესვენება ჩვენთვის ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა გუნდი, ერთ-ორ მთამგაზნე მართლაც დაგვწყდა ვული, მაგრამ ხარისხობრივადაც და რაოდენობრივათაც „სამტრედიაში" გუნდისთვის გაკიცებით სასარგებლო ფეხბურთელები მოვიდნენ და ეს სულ მალე გამოჩნდება. აღვნიშნავდი, სამტრედიელი დემურ სამსონიშვილის კარგ დაბრუნებას გუნდში, რომელიც ერდი ნელი ბათუმის „დინამოში" თამაშობდა. ძალიან სასარგებლო ფეხბურთელია გოგიტა ილურიძე. საინტერესო ბიჭები არიან აკაკი კუპრეიშელი, ლაშა ჩალაქე და გიორგი დარბაძე. დარნმუნებული ვარ, მათი დამბარება „სამტრედია" კიდევ ბევრ სიურპრიზს შესთავაზებს გულშემატკივრებს.

- გუნდის მიზნებზე რას იტყვით?

- ნინა ტურებში არც ერთი ნსაგები თამაში არ იყო, თუმცა, სამწუხაროდ, ქულის აღება ვერ მოვახერხეთ. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი მიზანი მაქსიმალური ქულების დაგროვებაა. ის რომ „სამტრედიამ" უმალულეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლოს ეს ცოტა მოკრძალებული ამოცანაა ამ გუნდისთვის. პირადად მე გუნდს მე-5 ადგილ ვუსახავ მიზნად და ვნახოთ რა გამოვა. „სამტრედიას" ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს.

დავით კოზრაძე
სამტრედიელი

ინტერვიუ

ნიკა ძალამიძე
ჯერ რუსეთი, მერე დასავლეთი

ძალამიძეს სჯერა, რომ ნაკლს რუსეთში უკეთ გამოასწორებს

ამთრის პაუზისას ერთ-ერთი პირველი, ვისი ტრანსფერიც განხორციელდა, ნიკა ძალამიძე იყო. ზუგდიდის „ბაიას" შემტევი ნახევარმცველი, რომელიც 6 იანვარს 18 წლისა შესრულდა, მოსკოვის ცსკა-ში ერთწლიანი იჯარის წესით გადავიდა. ძალამიძე საქართველოდან ესპანეთში გაემგზავრა და არმიელთა მთავარ გუნდს იქ შეუერთდა. მოსკოვური კლუბის მწვრთნელთა ჯერ კიდევ იანვარში განაცხადეს - მართალია, ახალგაზრდა ტალანტი საქმეში ვერ ვნახეთ, მაგრამ მასზე საკმაო ინფორმაციას ვფლობთ და ამ ერთი წლის განმავლობაში დავაკვირდებითო. ერთი სიტყვით, ძალამიძის დიდად ეიმედებათ და ახლა ყველაფერი თავად მასზეა დამოკიდებული. მასში ახალ ანანძეს ხედავენ და ამ შინაარსის სათაური რუსულ ვებგვერდებზე უკვე გამოჩნდა კიდეც. აი, მაგალითად - „ძალამიძე, ეს არის ჩვენი პასუხი ანანიძეზე". თავდაპირველად, ნიკა მთავარ გუნდს შეუერდა. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ის ცსკა-ს სარეზერვო გუნდთან ერთად ემზადება. ძალამიძეს კლუბის ხელმძღვანელებამ 27-ნომრისინი მაისურა გადასცა... ვნახოთ, რა აზრისაა ჭაბუკი ფეხბურთელი ახალ კლუბზე, პერსპექტივაზე, ჯანმ ანანიძესთან შედარებაზე...

- როგორ მიგიღეს ახალ კლუბში?

„შერილს ვექელი ჯერ არ მეურჩევია, მაგრამ ეძებს და საქმიან ხალხთან რამდენიმე შეხვედრა უკვე გამართა. ის აპირებს, რომ გაყრის პროცესი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს. მას საკმაოდ დიდი ქონებიდან არაფერი სურს. „რთადერთი, რასაც შერილი აპირებს, ძველ ეხოვრებასთან მალე განშორება და ახლის დაწყებაა. ადეოოკატების თქმით, თუკი ქონებრივი პრეტენზია არ აქვს და ნებელი ერთმანეთს არაფერს მიედვეს, განქორწინების პროცესი მალე დასრულდება“.

ინგლისელმა „მსაფრისტებმა“ კი ბოლო ხანს მათი ქვეყნის ფეხბურთში ადორებული სასიყვარულო სკანდალების ნიადაგზე გვარიანად მოუფხინეს. ეშლი და შერილ კოულებს სახლთან ასეთი ბლუკაცი გამოჩნდა: „შერილ, დამარტკეე. სიყვარულით ჯონ ტერი. XXX“.



შერილ, დამარტკეე. სიყვარულით ჯონ ტერი. XXX

საფრანგეთი

რაიმონ დომენეკმა სია დადო

დომენეკის ახალი სახეები ესპანეთთან

3 მარტს პარიზში საფრანგეთის ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩში ესპანეთის ნაკრებს გაუჯიბრება. **რაიმონ დომენეკმა** თავს ეწესერმიენტების ნაატარების უფლება მისცა. როგორც ჩანს, გაჭრა ფრანგული მედიის ზენოლამ და ეროვნული ნაკრების თავკაცმა ბერიერი მარსელის „ოლიმპიკის" ნახევარმცველი **ბენუა მეირუ** მიიწვია. დომენეკს არც მისი თანაგუნდელი **პატემ ბენ არფა** დავიწყნია. ორივე ეს ფეხბურთელი მარილაცა შესანიშნავ ფორმაშია ბოლო დროს. დაუფასადალიგა 1-ში კარგი ასპარეზობა „ბორდოს" ცენტრალურ მცველ **მიშელ სიანისაგ**, ნაკრებში ისიც მიიწვიეს. ჩემპიონთა ლიგაში სიანმ შეძლო „ბორდოს" დაცვის გაძლიერება და ამასთან სამი გოლი გაიგანა, მათ შორის „ოლიმპიაკოსთან" გასვლაზე გადამწყვეტი გოლიც მის ანგარიშზეა.

დაბოლოს, რაიმონ დომენეკმა „ნისლიან ალბიონსაც" მიაკერო მზერა და „ევერტონის" ბრნყინვალე ფორმაში მყოფი ფორვარდი **ლუის საა** „მამლებში" მიიწვია. საა ტრაგმებმა გაგანჯვეს, თუმცა ბოლო დროს ის ძველებურად ათამაშდა, „მანჩესტერის" ყოფილმა თავდამსხმელმა მთელი თავისი ნიჭი „ჩელსისთან" ბრძოლაში გამოავლინა. აი, **ჯიბრილ სისეს** კი არ გაუმარჯოდა, ისიც საკმაოდ კარგად ასპარეზობს ბერძნულ „ოლიმპიაკოსში", მაგრამ ამ ეტაპზე დომენეკმა მას საა არჩია. ესპანეთთან მატჩში „ლე ბლეი" ახალი ფორმებით ითამაშებს, მაისორა თეორია ლურჯი და ნითელი ლაქებით. მაშასადამე, საფრანგეთის ნაკრები:

მეკარეები: **უგო ლორისი** (ლიონი), **სტივ მანდანდა** (მარსელი), **სედრიკ კარასო** (ბორდო).

მცველები: **ჟან-ალენ ბუმსონგი** (ლიონი), **მიშელ სიანი** (ბორდო), **ჟულიენ ფესუელ** (სევილია), **ალი სისობო** (ლიონი), **პატრის ევრა** (მანჩესტერი), **ბაკარი სანია** (არსენალი), **როდ ფანი** (რენი), **ადილ რამი** (ლილი).

ნახევარმცველები: **ლასანა დიარა** (რეალი), **იოან ჯურაუფი** (ბორდო), **მუსა სისოკო** (ტულუზი), **ჟერმენ ტულალანი** (ლიონი), **ბენუა მეირუ** (მარსელი), **ფლორან მალუდა** (ჩელსი).

თავდასხმელები: **ნიკოლა ანელკა** (ჩელსი), **პატემ ბენ არფა** (მარსელი), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **ტიერი ანრი** (არსენალი), **სიდნეი გოვუ** (ლიონი), **ლოიკ რემი** (ნიცა), **ლუის საა** (ევერტონი).

ნიკოლოს ნეშარიძე

იტალია. სერია A. გამოტოვებული მატჩები

ფიორენტინა ისევ მსაჯის წინააღმდეგ

ორი დარტყმა ორი გოლი, რომელმაც „ილანს" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. „როსონერიმ" „ფიორენტინასთან" გასვლით პაერობაში ხასიათი გამოავლინა და მოუხედავად იმისა, რომ მილანობაში ერთობ უსახურად ითამაშა, სამი ქულა მოიპოვა.

მთელი 90 წუთის განმავლობაში, ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. **ჩეზარე პრანდელიმ** ტრადიციის არ უღალატა და სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად სამი ფორვარი გაამწესა: **სტევან იოვეტიჩი, ხუან მანუელ ვარგასი** და **ალბერტო ჯილარინო.** შეტევებში აქტიურად ერთვებოდა **მარკო მარკონი**, რომელიც მარჯვენა ფლანგზე მოქმედებდა და **დანიელე ბონერასს** სისხლი გაუმრო. ამიტომ იყო, რომ ძანდგასწყვეტილი დანიელე მეორე ნახევარში **მარეკ იანკულოსკიმ** შეცვალა.

ფლორენციელებმა სწრაფი ფილი გაიტანეს, რაც მატჩის სასტარტო წუთებიდან გამომდინარე, სულაც არ გახლდათ ალოგიკური. მე-14 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მილანელთა ხელარჩიმში შექმნილი არეულობით ჯილარდინომ ისარგებლა და მშვიდად შეაგორა ბურთი **კრისტიან პპიაზის** კარის ბადეში - 1:0. ამ უკანასკნელმა, „ბარისთან" გასვლით პაერობაში შესანიშნავად ითამაშა, თერმოტმტმტრანიც ეი ილო და ბუნებრივია, რომ **ლეონარდომ** ეკლავიც მასზე შეაჩერა არჩვენი. არც ნაუგია, მთლიანობაში კრისტიანმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ფიდი წვლილი შეიტანა გუნდის გამარჯვებაში.

მოუხედავად გაშვებული გოლისა, „მილანმა" ვერ შეძლო მეტოქის ნახევარზე გაბატონება და მეტწილად, თავის დაცვაზე უხდებოდა ზრუნვა. ხანდახან, უძლურნი იყვნენ და ვერ უმკლავდებოდნენ ფლორენციელთა იერიშებს. საოცარია, მაგრამ ბოძებული შანსები მასპინძლებმა ქარს გაატანეს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. შეხვედრის დასრულებამდე ათიოდე წუთი იყო დარჩენილი, როდესაც **კლაას იან ჰუნტელაარმა** და **რონალდინიომ** მარტივი, მაგრამ შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, დასარტყმელ პოზიციაზე ჰოლანდიელი გავიდა და უზუსტესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, 1:1. მეორე გოლი მილანელებმა უკვე მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გიატანეს - რონალდინიომ კიდევ ერთხელ გაკაეთა მეტად მწვავე გადაცემა, რომელის ადრესატიც ისევ და ისევ ჰუნტელაარი გახლდათ, თუმცა ამ უკანასკნელმა გონივრულად გაატარა ბურთი და ამით **ალეშანდრე პატოს** გადაულიცა გადამწყვეტი დარტყმის საშუალება - ბრაზილიელმა უზადოდ იმოქმედა და „არტემიო ფრანკი" დაადუმა - 1:2.

„მილანმა" მოიგო და „ინტერთან" სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანა. ამრიგად, სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა და ნეიტრალიური გულშემატკივრისთვის სწორედ ეს არის ყველაზე მთავარი. არადა, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ, ექსპერტთა უმტესობას „მილანის" სასკუფერო ამბიციების აღარ სჯეროდა. მოვუსმინოთ ჰუნტელაარს, რომელმაც კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გოლი გიიტანა:

"მილანმა ინტერთან სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა

„ძალიან მიხარია, რომ ჩემი გოლი გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. უკვე ექვსი შედეგიანი დარტყმა დამიგროვდა და იმედია, არც მომავალში გაჭირდები. თუმცა, პირად წარმატებაზე მეტად, გუნდის გამარჯვება მაწარეს. ჩვენი მიზანი სკუდეტის მოგებაა და თუ ამას ვერ მივაღწიეთ, გაგანაწყენ გოლებს ფასი დაეკარგება. „ფიორენტინა" ძალიან ძლიერი გუნდია და მისი სტუმრად დამარცხება ოლიო საქმე ნამდვილად არ არის. შესაძლოა, ისე ვერ ვითამაშეთ შეტეკვაში, როგორც გულშემატკივრებს გიუხარდებათ, მაგრამ მთავარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ და „ინტერთან" ჩამორჩენა კიდევ უფრო შევამცირეთ".

თვითკრიტიკული იყო **ალესანდრო ნესტა,** რომელმაც აღიარა, რომ მის გუნდს აშკარად გაუმარჯოლა: „ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით და დიდი იყო შანსი, სულაც ნაგვეგო. სამედნიერად, ფორტუნამ ჩვენი მხარე დაიჭირა და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აეიღეთ. კომპლიმენტები მინდა ვუთქვა მეტოქეს, რომელმაც მთელი თამაში მეტეკვებში გაატარა. რაც შეეხება ჩვენს გუნდში არსებულ ხარვეზებს, ეს დიდწილად გადალილობის ბრალია. ბოლო დროს უამრავი პრინციპული მეზეკერი გავმართეთ და ამან რა თქმა უნდა კეალი დაგვატყო. მიუხედავად ამისა, ქულების მოპოვებას ვახერხებთ და მთავარი სწორედ ეს გახლავთ".

კომენტარი ლეონარდოსაც გააკეთა, თუმცა სულ რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლა: „მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ, რომელმაც საკუთარი თავის რწმენა კიდევ უფრო გაგვიძლიერა. ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯს ჩვენს კარში თერმოტმტმტრანის დანიშვნა შეეძლო, თუმცა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. რას ვიზამთ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება".

განსხვავებული განწყობილებაა ფლორენციელთა ბანაკში. „ფიორენტინას" პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე** სულაც აღშფოთებულია: „მიუხედნენ გამმართელი შეხვედრის შემდეგ, ვერ ნარმოვიდგენდი თუ ასეთი რამ კიდევ მოხდებოდა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩვენ ვდომინირებდით და მოუხედავად ამისა, დავმარცხდით. ჩემი ბრალია ყველაფერი, როდესაც გავიგე, რომ შეხვედრის არბიტრად რობერტო როზეტი დაინიშნა, უნდა გამეპროტესტებინა. არაერთხელ გავგიჭია დათეური სამსახური, აშკარად არ ესიმპათიურება ჩვენი ქალაქი და ჩვენი გუნდი".

ოთხშაბათს, სერია A-ს კიდევ ერთი გადადებული მატჩი გაიმართა. „უფინეზემ" სკამზე დაბრუნებული **პასკუალე მარინოს** თავკაცობით პირველი შეხვედრა გამართა და „ლერკატი" „კალიარი" ძნელად, მაგრამ მაინც დაამტკერა. შეხვედრა სტუმართა სწრაფი გოლით დაიწყო, **ეედან** მესამე წუთზე გიატანა გოლი და დაანინაურა თანგაუნდელები. პირველ ტაიმში მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ უშედეგოდ. ანტრაქტის შემდეგ მარნონს შეგარდმა დაწოლა კიდევ უფრო გააძლიერეს და სამი წუთის მონაკვეთში ორჯერ იხეიტე, ჯერ **სანჩესი** გამოიარა, გამარჯვების გოლი კი **ანტონიო დი ნატალემ** გიიტანა.

ლაშა ნიკლაური

იუვენტუსი

ძაკი გენიოსი ყოფილა

ალბერტო ძაკერონი

„იუვენტუსმა" რამდენიმე მატჩი მიჯრით მოიგო და ტურინში ლამის ეიფორიამ დაისადგურა. „ეეკი სენიორას" მესვეურები **ალბერტო ძაკერონის** მუშაობით კმაყოფილნი არიან და ამას არც ჟურნალისტებთან მალავენ. აი, რას ამბობს „კორიერე დელო სპორტთან" საუბარში ელუბის სპორტული დირექტორი **რობერტო ბეტეგა:**

„ძაკერონიმ სწორი პოლიტიკა აირჩია, რამაც შედეგი მალევე გამოიღო. პირველ რიგში, ფსიქოლოგიური სამუშაო ჩაატარა და დაარწმუნა მეგარდები, რომ მაღალი მიზნების მიღწევა შეეძლოთ. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ ასე სწრაფად აუუღებდა ალელოს სამუშაოს და გუნდს თავის ხელს დაატყობდა. მართალია, ხელშეკრულება სეზონის ბოლამდე აქვს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ეფექრობ, ახალ, ხანგრძლივვადიან კონტრაქტს გავუფორმებთ".

ბეტეგა კმაყოფილია, რაც გასაკვირი ნამდვილად არ არის, ან **მოპამედ სისოკო** კი სულაც აღფრთოვანებულია ალბერტოს მუშაობით. თავად განსაჯეთ, ფერადკანიანმა ნახევარმცველმა ძაკერონის არც მეტი, არც ნაკლები, გენიოსი უწოდა: „არ მეგონა, თუ ახალი მწვრთნელი ასე რადიკალურად შეცვლილდა გუნდი ვითარებას. მოვიდა თუ არა, პირველი ის გვითრხა, გაცილებით მაღალ დონეზე შეგიძლიათ თამაში და დროა, პოტენციალი სრულად გამოავლინოთო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ტაქტიკურად იდეალურად არის განსწავლული. უამრავი იდეა აქვს, რომლის მოედანზე გადატანა სურს და ხშირ შემთხვევაში, ამას კარგადაც ახერხებს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ კომპანენტში მას ბადალი არ ჰყავს, ის გენიოსია".

ლაშა ნიკლაური

ლაციო

სტეფანო მაური

აბა, ახალი კონტრაქტები!

იტალიურ პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომის „ლაციოს" მესვეურები წამყვანი ფეხბურთელების შესანარჩუნებლად ძალლონეს არ იშურებენ. დედაქალაქური კლუბი უკვე წლებია, რაც სერია ა-ში ნარუმატებელად ასპარეზობს, ამიტომ, მოთამაშეებს გაქცევაზე უფრთავთ თვალი და საინტერესო ნინადადებებს განიხილავენ. გამომდინარე აქედან, „იიანკოლეტელებს" მესვეურებს თითოეული ფეხბურთელის მენარჩუნება დიდ ძალისხმევად უჯდებათ.

ერთი ხანობა აქტიურად ლაპარაკობდნენ, რომ **სტეფანო მაური** „ლაციოდან" „ჟენოაში" პირებდა გადასპარგებას, თუმცა გუშინ ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა უარყო: „გენუელებთან არავითარი მოლაპარაკება არ გამმართავს და ვერ გეტყვით, საიდან გავრცელდა ასეთი ინფორმაცია. „ლაციოში" თავს კარგად ვგრძნობ და თუ გაცილებით უკეთესს კლუბს არ მიმინეა, არსადაც არ ნავალ. მეტსაც გეტყვით, „მიანკოლეტელებს" მესვეურები ახალ კონტრაქტს მიმზადებენ, რომელიც 2014 წლამდეა გათვლილი და ფიდი მაინი, მის ხელი მოვაწერო".

„ლაციოს" მესვეურები ახალ ხელშეკრულებას **ნესტორ მუსლერასთანაც** ამზადებენ, თუმცა რამდენად ემაყოფილი დარჩება არგენტინელი შეთავაზებით, ძნელი სათქმელია. ამბობენ, არაერთი გაცილებით უფრო ამბიციური გუნდი ინვეეს და ნასვლა მყარად აქვს გადაწყვეტილი.

ლაშა ნიკლაური

ქალათა ჩრდილი

ქართველი NBA-ში

მგელი ვერას დაგვაკლებს...



თუ ჯერ მატჩის სტატისტიკას გავაანალიზებ, შეიძლება იფიქრონ, რომ „აატლანტას" აუტსაიდერ „მინესოტა ტიმბერვულვზთან" ძალიან გაუჭირდა. რეალურად საქმე სხვაგვარად იყო: ჯორჯიელებმა მეორე პერიოდის დასაწყისში მოპოვებული 10-ქულიანი უპირატესობა მეოთხე რაუნდის დასაწყისამდე შეინარჩუნეს და არც ბოლო თორმეტწუთიულში მოუციათ „მგლებისთვის" დაწევის უფლება.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ მეორე მეოთხედის პირველი წუთიდან მეხუთემდე **ზაზა ფაჩულია** მოედანზე იყო და ზემოთ ნახსენებ გაქცევებიც მეოცანა წელილი. მან ფარს ერთი მეტოლეც არ გააკარა - 4 წუთში ბურთი ექვსჯერ მოხსნა (3 საკუთარ, 3 მეტოქის ფარზე). დამაგირგინებელ ფაზაში ზაზას ყველაფერი ისე არ გამოუვიდა, როგორც სურდა (4 ორქულიანი გააცუდა), თუმცა ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ „ქორების" სასარგებლად 8-ქულიანი ფორა დაფიქსირა - 33:25. მან სპობილოდ 7 მოხსნა, 2 ქულა და 1 დაფარება გაიფორმა.

„მგლებთან" მატჩისას შეტევაში ვერც **ჯამალ კროუფორდმა** იყოჩალა, რომელიც „აატლანტას" ერთ-ერთი მთავარი მეტოქეა. მან თამაშიდან ნასროლი შვიდიე ორქულიანი და ოთხივე საჯარიმო აიცილა...

სამაგიროდ, სეზონის რეკორდი დაამყარა **ჯორ სმიტმა** - 27 ქულა ჩაადო და ბუნარი 10-ჯერ მოხსნა. მისი თამაშის შეფასებისას მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ჯუდსონმა** სიტყვა „ფანტასტიკური" გამოიყენა.

საბოლოოდ, „აატლანტამ" „მინესოტას" მოხსნებში 46:38 აჯობა.

ზაზა ფაჩულიას ვუნდი აღმოსავლეთის კონფერენციაში ისევ მეოთხე ადგილზეა. მას „ბოსტონის" მსგავსად 36 მოგება უნერია, თუმცა ერთით მეტი შეხვედრა აქვს ჩაატარებული და, მესაბამისად, ერთით მეტი ნაგება აქვს - 20. „ქორები" არც მესამე ადგილზე მყოფი „ორლანდოსგან" არიან მორს - „მეკოკას „მონსონმა" „გაუფი" 89:78 დაამარცხა, თუმცა ამის მოუხედავად მონსონელები მიიც ბოლოდან მესამე ადგილზე არიან - 6 გამარჯვება, 12 მარცხი. სხვათა შორის, „მოსხონს" საპლეიოფო ზონას ბოლოდან 3 მოგება აშორებს.

E ჯგუფის სატურნირო ცხრილში მერვე-მეათე ადგილებს ინანილებს „ეალენსია", რომელშიც **თორნიკე შენგელია** და **გიორგი შარაბიძე** თამაშობენ. ვალენსიელებმა მე-18 ტურში იოლად დაამარცხეს „ეიფისა" (80:43) და მოგება-ნაგებათა რაოდენობით გაუთანაბრდნენ. „ეიფისას" და „ვალენსიას" 9-9 გამარჯვება და ამდენივე მარცხი აქვთ.

ბარაქიანი მონაგარი ჰქონდა თორნიკე შენგელიას. მან ეფექტურო ორმაგი დუბლი შეასრულა: 22 ქულა, 15 მოხსნა, 2 პასი. თორნიკეს 33 წუთში 12-დან 9 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 7-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.

მეორე ქართველი ვალენსიელი, გიორგი შარაბიძეც სასტარტო შემადგენლობაში იყო. მან 18 წუთში 6 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა.

EBA-დან „1 ნასიონალ ლიგაში" გადავინაცვლო, სადაც **ბეკა ჩიკვილაძის** „ალბასეტე" ასპარეზობს. მე-17 ტურში ბეკას ფაზაზე თანაქალაქელ „ალბასეტს" ბასკეტთან" 64:91 ნააგო და ცხრილში პირველი ადგილი დათმო.

ჩიკვილაძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 36 წუთი თამაშობს. დროის ამ მონაკვეთში მან 10 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი მიითვალა.

ვაჟა სიმონიშვილი

თორნიკე შენგელია

მიხეილ ბერიშვილი

E ფექტური, B არაქიანი, A სპროცენტიანი

ჯერ სათაურიც სამი ლათინური ასო გავიფიროთ: EBA ესპანეთის დუბლების ჩემპიონატია, რომელშიც ხუთი ქართველი კალათბურთელი თამაშობს. ბოლო ტურში ამ ლიგის ნარმმადგენელმა ჩვენინებმა ასპროცენტიანი შედეგი უჩვენეს - ხუთივეემ გაიმარჯვა. ბარაქიან და ეფექტურ მონაგარზე კი ქვემოთ ვიქუთ.

EBA-ს ლიგა ხუთ რეგიონულ ჯგუფადაა გაყოფილი. B ჯგუფში ორი ქართველი თამაშობს: **მიხეილ ბერიშვილი** „არადანეს" ღირსებას იკავებს, ხოლო **გრიგოლ შვანგირაძე** - „ტაკორონტეს".

„არიდანეს" 22-ე ტურში 110:92 დაამარცხა „პოსუელი". მატჩი დრამატული აცენარით ნარიმართა: მესამე პერიოდში სტუმრმა პოსუელელებმა 38:23 იმარჯვეს და ბოლო მეოთხედის ნინ სხვათა სამ ქულამდე შეამცირეს. მეოთხე პერიოდში კვლავ გამოცოცხლდა მიხეილ ბერიშვილის „არიდანე", 28:13 მოიგო და მეტოქეს ორი ქულა არ დაუთმო.

მასპინძელთა ნარმატებაში 18-ქულიანი წელილი შეიტანა მიხეილ ბერიშვილმა, რომელმაც 3-დან 2 ორქულიანი, 7-დან 4 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩაადგო. 18 ქულის გარდა მიშას ანგარიშზე 3 პასი და 1 მოხსნაა. მას ასეთი მონაგარის მოსაგროვებლად 20 წუთიც ეყო.

გრიგოლ შვანგირაძის „ტაკორონტე" შინ მეოთხე პერიოდის წინ „კანოუსთან" 8 ქულის სხვაობით აგებდა, თუმცა მეოთხე პერიოდში მასპინძლებმა თამაში შემოატრიალეს და 78:76 გაიმარჯვეს.

„ტაკორონტეს" მე-8 ნომერმა, შვანგირაძემ 8 წუთი ითამაშა, 3 ქულა და 1 მოხსნა მიითვალა.

სატურნირო ცხრილში ბერიშვილისა და შვანგირაძის გუნდები მეზობლები არიან: „ტაკორონტეს" 22 მატჩში 16 მოგება აქვს და მესამე ადგილზეა, ხოლო „არიდანე" 15 გამარჯვებით მეოთხეა. სატურნირო ცხრილის ლიდერ „მავკადონხლდს" 18 მატჩი აქვს მოგებული.

EBA-ს ლიგის C ჯგუფში **კოკა ტომარაძის** „მოსხონი" თამაშობს. ქართველი უკანასკნელი გუნდის სასტარტო ხუთეულის წევრი და ერთ-ერთი ლიდერია. კოკამ ეს „გაუფისთან" მატჩშიც დაამტკიცა: ორმაგი დუბლი მოითვალა - 27 წუთში 13 ქულა, 10 მოხსნა და 3 პასი შეასრულა. ტომარაძემ 6-დან 4 ორქულიანი, 7-დან 4 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩაადგო. 18 ქულის გარდა მიშას ანგარიშზე ჯიქს" მოგებათა გრაფაში 39 უწერია, ნაგებებში - 19.

„მინესოტას" ძლევის შემდეგ ჯორჯიელმა ჟურნალისტებმა დასვეს კითხვა: რამდენ ხანს გასტანს მოგებათა სერია? მათ იმედი აქვთ, რომ „ჰოქსი" შინ აღარ ნაგებს - უახლოესი ორი მატჩი სწორედ „ფილიას არენაზე" გაიმართება. „აატლანტა" 26 თებერვალს „დალასს" დაუხვდება, ხოლო 28 თებერვალს - ზაზას ყოფილ კლუბ „მილუოკის".

ატლანტა-მინესოტა 98:92

ზაზა ფაჩულია: 11 წუთი, 2 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება, 1 შეცდომა

I პერიოდი

00:33	ზაზაა პორფორდი შეცვალა
00:01	ორანჟლიანი: არაზუსტი

II პერიოდი

11:51	დაფარება: 1
11:49	მოსხა: შეტ-0, ფაბ-1
11:38	ორანჟლიანი: არაზუსტი
11:23	მოსხა: შეტ-1, ფაბ-1
11:23	ორანჟლიანი: არაზუსტი
10:31	მოსხა: შეტ-1, ფაბ-2
09:30	მოსხა: შეტ-2, ფაბ-2
09:29	ორანჟლიანი: არაზუსტი
09:14	მოსხა: შეტ-2, ფაბ-3
07:43	მოსხა: შეტ-3, ფაბ-3
07:35	საპასიანოები: 2/2 (ქულ, 33:25)
07:10	ზაზაა პორფორდი შეცვალა

III პერიოდი

03:46	ზაზაა პორფორდი შეცვალა
01:46	მოსხა: შეტ-3, ფაბ-4

IV პერიოდი

11:48	შეცდომა: 1
10:31	ზაზაა პორფორდი შეცვალა

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ... ...

ორი დებიუტანტით და გამარჯვების იმედით

საქართველოს ნაკრები შაბათს, 27 თებერვალს ეროვნულ სტადიონზე 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში ესპანეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ბორჯღალოსანთა" თავკაცმა **ტიმ ლეონმა** გუნდის 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. ჩვენს გუნდში დებიუტი ექნება მესამეხაზელ **ლაშა თავართქილაძეს** (ფარული), რომელსაც ლეონმა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, გამოცდილი ფლანგერის **გია ლაბაძის** გვერდით ანდო.

მთლიანად გამოიცვალა გუნდის შერკინების პირველი ხაზი. „ლომებთან" თამაშს **გოდერძი შველიძე** (მონტობანი), **დავით დადუნაშვილი** (პერონა) და **დავით ქუბრიანიშვილი** (ტულონი) დაიწყებენ. შველიძეს და დადუნაშვილს ნინა ორ მატჩში არ უთამაშთათ. ქუბრიანშვილი ორჯერეც შეეცვალა შეეფიდა.

მეიცვალა მეორეხაზელთა დუეტიც. **ილია ზედგინიძეს** (კარკერენი) **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) შეუწყვეტდება. **გიორგი ნემსაძე** (მასი) თადარიგში გადაინაცვლებს.

უკანა ხაზში დებარწდნენ შუამარში **ირაკლი გიორგაძე** (შამპერი) და გარემარში **მალხაზ ურჯუკაშვილი** (ფიეკი). ნაკრების ოცდაორკაციან შემადგენლობაში არ არის **ალექსანდრე თოდუა** (ლელო), მის ნაცვლად ტიმ ლეონმა თადარიგში **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია) დააყენა. დებიუტი ექნება „ვისოლი ყოჩების" მერკინების კვაჭ **ჯაბა ბრეგვაძესაც**, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთვება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები გამარჯვების შემთხვევაში 2011 წლის მსოფლიო თასის საგზურს შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ოფიციალურად გაიფორმებს.

თამაში ეროვნულ სტადიონზე 14 საათზე დაიწყება.

საქართველოს ნაკრები:

15. მერაბ კვირკაშვილი, 14. მალხაზ ურჯუკაშვილი, 13. ოფფო ზიბზიბაძე, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ირაკლი მაჩაბელი, 10. ლაშა მალალაურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე, 1. გოდერძი შველიძე, 2. დავით დადუნაშვილი, 3. დავით ქუბრიანშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გია ლაბაძე, 7. ლაშა თავართქილაძე, 8. ბესო უდესიანი.

16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. დავით ზარიკაშვილი, 18. გიორგი ნემსაძე, 19. გიორგი ჩხაიძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. დავით კაჭარავა, 22. ირაკლი ჩხიკვაძე.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1.საქართველო	7	6	1	0	+170	13
2.რუსეთი	7	6	0	1	+107	12
3.აორტუგალია	7	3	1	3	+30	7
4.რუმინეთი	6	3	0	3	+78	6
5.ესპანეთი	6	1	0	5	-92	2
6.გერმანია	7	0	0	7	-293	0

27 თებერვალი

გერმანია-აორტუგალია

რუსეთი-რუმინეთი

ზე 14

რიჩი მაკქოუ ბრუნდება

დღეს ზე 14-ის გათამაშების მე-3 ტური ორი მატჩით იხსნება. ახალზელანდიელი „ერუსეიდერნი", რომელიც ბოლო წლების ერთ-ერთი ფავორიტია, სამხრეთაფრიკელ „ნატალ შარქსს" მასპინძლობს, კეიპთაუნში კი „სტორმერზი" ავსტრალიურ „ბრამბიზს" დაუპირისპირდება.

„ნატალ შარქსმა", რომელიც 1996, 2001 და 2007 წლების ვიცე-ჩემპიონია, უწვეულოდ წარუმატებელი სტატი აიღო. „ზეგიენებმა" ორი სამინუთ შეხვედრა ნააგეს და ამავრად აუტსაიდერთა შორის არიან. ამიტომ, „ერუსეიდერზს" „გაავებული" მეტოლის დახვედრა მოუწევს. ქრაისჩერჩელებმა სტარტზე ორიდან ერთი მოიგეს და სატურნირო მდგომარეობის ვანსამეკიცებლად კრიზისში მყოფი სამხრეთაფრიკელი გუნდის ძლევას ვეეცდებიან.

ზელანდიელებს ამ შეხვედრაში ტრავმამოშუშებული კაპიტანი **რიჩი მაკქოუ** დაუბრუნდება. საგულისხმოა, რომ „ერუსეიდერზს" საკუთარ კედლებში სამხრეთაფრიკელ გუნდებთან 1996 წლის შემდეგ არ ნაუგია. „ნატალ შარქსს" კი „ერუსეიდერში" სტუმრად არასდროს დაუმარცხებია.

პლანტერუგბყა-ის პროგნოზით, „ერუსეიდერში" მინიმუმ ათი ქულით მოიგებს.

მეორე ნყვილში ფავორიტი მასპინძელი „სტორმერზია". სამხრეთაფრიკელი გუნდი ჯერჯერობით დაუმარცხებელია და სატურნირო ცხრიანში მე-4 ადგილზეა. ამ შეხვედრაში სინტტრაო იქნება შუამარბების **ჟაკ ფურრის** (სტორმერზი) და **სტერლინგ მორტლოქის** (ბრამბიზი) დაპირისპირება. მასპინძელთა დიდი იმედი ახალგაზელი გარემარბი **ბრაიან ჰაბანაა.**

ცხადია, გამარჯვების იმედი „ბრამბიზის" ქომაგებსაც უნდა ჰქონდეთ, მით უფრო, რომ მათ სათაყვანებელ გუნდში მსოფლიოს მეგავარსკვლავები **მეტ გიტო, როკი ელსომი, ჯორჯ სმიტი** და **ადამ ფელპ-კუპერი** თამაშობენ.

პლანტერუგბყა-ის პროგნოზით, გამარჯვება, მინიმუმ სამი ქულით, მასპინძლებს დარჩებათ.



რიჩი მაკქოუ

ეძებს პრრ

ახალი ფრანგული რევოლუცია

დღეს ექვსი ერის გათამაშების მესამე ტურის ერთი მეხვედრა გაიმართება. კარდიფში, „მილენიუმზე" უელსის ნაკრები აღმავლობის გზაზე მყოფ საფრანგეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ეს მატჩი ბევრ შეკითხვაზე გაგვცემს პასუხს. „ლე ბლუ" გამარჯვების შემთხვევაში დიდი სლემის შესრულების ბრწყინვალე შანსს მიიღებს, რადგან ბოლო ორ ტურში შინ იტალიისა და ინგლისის ნაკრებებს მასპინძლობს.

საფრანგეთის ნაკრებმა მეორე ტურში შინ მოემეფდ ჩემპიონ ირლანდიის ეროვნულ გუნდს სძლია. მასპინძლებს ევროპის საუკეთესო გუნდთან დიდი უპირატესობა ჰქონდათ. მეიძლება ვიფიქროთ, რომ „ლე ბლუს" 41 ნლის თავკაცის **მარკ ლევერმონის** ორწლიანმა, მუხლსაუხრელმა შრომამ შედეგი გამოიღო. ფრანგების პოტენციალი იმდენად დიდია, რომ ადვილი შესაძლებელია, 2011 წლის მსოფლიო თასზე ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტებად მოგვეგულნენონ.

ლევერმონი, ფრანგული სპორტული მედიის მნვავე კრიტიკის მოუხედავად, ნაკრებში რეფორმებს უფიშრად აგარებდა. მან საქმეში ბევრი ახალი მოთამაშე გამოცადა და საკმაოდ კარგი, ბრძოლუნარიანი გუნდის შექმნა შეძლო. მას სჯერა, რომ მომავალ ნელს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

გუნდის ძირითად ბირთვს გამოცდილი მორაგბეები, კაპიტანი **ლიონელ ნალე, ტიერი დუსატტარი, იმანოო არინორდოკი** და **ანნე ჟოზინი** ნარმოადგენენ. გამოცდილებას საკმაოდ იოლად შეეწნება ახალგაზრდა, ხალასი ნიჭი. ფრანგთა გუნდი საგრძნობლად გაიძლიერეს **ტომას დომინგომ, მაგნო ბასტარომ, ფუფგენს უედროაოომ** და ნლევანდელი ექვსი ერის აღმოჩენად, ცხრა ნომერმა **მორგან პარამ**, რომელიც აკამდე საფრანგეთის მის პოზიციაზე მეოთხე ნომრად ითვლებოდა. ყოველივე ამ სიკეთესთან ერთად, ლევერმონმა, როგორც იქნა, საერთაშორისო დონის, უმაღლესი კლასის მეგზავს მიაგნო - ქართველი მორაგბეების, **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** თანაგუნდელი **ფრანსსა ტრინ-დუკი.**

ალსანმნაოია, რომ ირლანდიის ძლევამი მხლოდ ოვიდმა მორაგბემ მიიღო მონანილეობა იმ შემადგენლობიან, რომელმაც ნოემბერში მსოფლიო თასის მფლობელი სამხრეთი აფრიკა დაამარცხა. „ლე ბლუს" სხვადასხვა მიზეზის გამო რვა ნამყვანი მოთამაშე **ფაბიენ ბარსელა, რომენ მილო-შლუსი, სებრიკ ემონსი, ლუი პიკამოლი, ფულიენ დიუპიუი, მაქსიმ მერმოსი, იან დევიდი** და **დამინ ტრაი** დაკალდა.



საფრანგეთის ნაკრები

ეს ფაქტი ყველაზე უკეთ მეტყველებს, თუ რამდენად მდიდარია საფრანგეთი ნიჭიერი მორაგბეებით. ლევერმონი ყველანაირად ცდილობს, მათგან უძლეველი გუნდი შექმნას და თუ ეს ნლეულოს ვერ მოახერხა, ესე იგი, ვერასდროს მოახერხებს.

უელსის ნაკრებთან მატჩისთვის ფრანგებმა ძირითადი შემადგენლობის ორი მორაგბე, მეორეხაზელი **პასკალ პაპე** და მესამეხაზელი ფუფგენსე უედროაოომ მოისაკლისეს. მათ ნაცვლად ლიეერმონმა ექსპრავაგანტური **სებასტიან პაბალი** და **ფუფიენ პიერი** იმხო.

უელსის ნაკრები, ცხადია, „ლე ბლუს" გუნდეულ დაკრეფილი არ დაუნგეფია. მასპინძლებს მხოლოდ **ენდი პაუელი** დააკლდათ, რომელიც ერთი კვირის წინ პოლიციამ ნასვამ მდგომრეობაში გოლფის ელექტრომობილზე ამხედრებული დაიკავა. პაუელმა ელექტრომობილს სასტუმროსთან ახლოს მიაგნო, დაქოქა და ავტოსტრადისკენ გაუტანა. ამ ინციდენტის გამო ის ნაკრებიდან ექვსი ერის დასრულებამდე მოკვეთეს. ამ ფაქტზე უელსის რაგბის კავშირი უახლოეს დღეებში იმსჯელებს და შესაძლოა, პაუელს სასჯელი დაუმკაცრონ.

სამაგიეროდ, სრული საბრძოლო განნყობა აქვს მსოფლიოს მარშანდელ საუკეთესო მორაგბეს, გარეშარბ **შეინ ვილიამსს,** რომელსაც დღეს 33 ნელი უსრულდება. შეინს იმედი აქვს, რომ დაბადების დღეს ლეღოოთი აღნიშნავს, რომელიც ნაკრების შემადგენლობაში მისთვის 50-ე იქნება.

„შოტლანდიასთან მატჩის წინ თავს შეუძლოდ ვგრძნობდი. უხალისოდ, გაჭირვებით ვეარეფიშმდი და თამაშიც ვერ ამეწყო. ახლა სხვა ვითარებაა, თავს მშვენიერად ვგრძნობ, სრულ მზადყოფნაში ვარ და ერთი სული მაქვს, ფრანგებთან თამაში როდის დაიწყება. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ" - თქვა შეინ ვილიამსმა.

შესაძლოა, ყველაფერთან ერთად ვილიამსს ფრანგებთან თავის გამოჩენა იმიტომაც უნდა, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, **დავით ქუბრიანშვილის** ფრანგული კლუბის, „ტულონის" ხელმძღვანელობამ უელსელს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ტულონელთა მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მორად ბურჯველალი** ვილიამს ნელინადში მილიონ გირვანქა სტერლინგს დაპირდა, რაც სარგაგო საზომით უზარმაზარი თანხაა.

ერთი სიტყვით, უელსი არაფრის დათმობას არ აპირებს და ფრანგებს მიზნის მისაღწევად უმნეავესი ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

უელსის ნაკრები

15. ლი პირნი, 14. ლი ჰალეფენი, 13. ჯეიმზ პუკი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. შეინ ვილიამსი, 10. სტიფენ ჯოუზზი, 9. რიჩი რისი. 1. პოლ ჯეიმზი, 2. ჰოუ მენტენი, 3. ადამ ჯონუზნი, 4. ბრედლი დევისი, 5. დეინოლ ჯოუზზი, 6. ჯონათან თომასი, 7. მარტინ ვილიამსი, 8. რიანან ჯოუზნი.

16. კინ ოუენსი, 17. რის ჯეილ, 18. ლუკ ჩარტერეანი, 19. სემ ვარბურტონი, 20. მაიკ ფილიპსი, 21. ენდრუ ბიშოპი, 22. ტომ მანკლინი

საფრანგეთის ნაკრები:

15. კლემან პეკატრენი, 14. ფულიენ მალზიო, 13. მაგნო ბასტარო, 12. იანიე ფოზინი, 11. ალექსის ბალისონი, 10. ფრანსეა ტრინდუკი, 9. მორგან პარა. 1. ტომას დომინგო, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლას მასი, 4. ლეონელ ნალე, 5. ფულიენ პიერი, 6. ტიერი დუსატტარი, 7. ფულიენ ბონერო, 8. იმანოო არინორდოკი

16. დომიტერო ფარეგვესკი, 17. ფან-ბატისტ პუ, 18. სებასტიან ბაბალი, 19. ალექსანდრ ლაპანდერი, 20. ფრედერიკ მიშალკი, 21. დავიდ მარტი, 22. მაქსიმ მერმოსი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	2	2	0	0	+32	4
2. ინგლისი	2	2	0	0	+18	4
3. ირლანდია	2	1	0	1	-5	2
4. უელსი	2	0	0	1	-6	2
5. შოტლანდია	2	0	0	2	-16	0
6. იტალია	2	0	0	2	-23	0

27 თებერვალი

იტალია-შოტლანდია

ინგლისი-ირლანდია

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

www.sport.gov.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ-ᲠᲣᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲞᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲗᲐ

ᲒᲣᲜᲐᲘᲡᲨᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲗᲐ ᲘᲧᲝᲠᲩᲐᲚᲔᲑᲘ

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რუმაული ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, რომელსაც ქუთაისის სპორტის სასახლეე ორი დღის განმავლობაში მასპინძლობდა. ტურნირის პირველმა დღემ აჭარელი მოჭიდაველების ტრიუმფით ჩაიარა. ოთხი წონითი კატეგორიიდან სამში ზეგისმირეულმა გაიმარჯვეს. 50 კგ-ში აჭარული ფინალი შედგა - **ბაჩანა ფუტკარაძეს** **თორნიკე ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲡ** სძლია. 55 კგ-ში ეკრობის მოქმედმა ჩემპიონმა **მინდია წულუიძეს** გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში სამტრედიელი **გოგიტა გოგიბერაშვილი** დაამარცხა. საინტერესოა, რომ გოგიტას ძმა, 60კგ-ში მოსასპარზე **გოგა გოგიბერაშვილი** ფინალური ასეკე აჭარის ნარმომადგენელ **ქემალ ხარაბაძეს** შეხვდა და ძმის დარად ისიც მეორე ადგილს დასჯერდა. პირველ დღეს ერთადერთი არაჯანური ჩემპიონი 66 კგ-ში გამოვლინდა, რომელშიც სენაკელმა **საჩინო დავითაიაძ** გაიმარჯვა.

საინტერესო გამოდგა ტურნირის მეორე დღეც. დაბაბუალად ნარმართა 84 კგ ნონით კატეგორიაში მოსასპარზე **დავით ჩაკვეტაძისა** და **რევაზ ნადარეიშვილის** ფინალური დაპირისპირება. საჩემპიონო პაექრობამდე ჩაკვეტაძემ ოთხივე მეტოქეს დამაჯერებლად მოიყო, ნადარეიშვილთან ჭიდაობა კი ცოტა გაუჭირდა. გამარჯვებულის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, სადაც უკეთ ჩაკვეტაძე გამოიყურებოდა და ფინალიც მისი გამარჯვებით დასრულდა. ამავე წონაში გამოდიოდა ქუთაისელი **გიორგი ღვინიაშვილი**, რომელზეც ადგილობრივები დიდ იმედებს ამყარებდნენ და მისგან პირველობამ მოელოდნენ, თუმცა გიორგი ამ ეტაპაზე მესამე ადგილს დასჯერდა. საინტერესო ოთხ 120 კგ-ში ძმების, **სერგო** და **მოთა გოგისვანიძეების** ფინალური პაექრობა. „ოჯახურ ფინალში", რომელიც საკმაოდ უმეცაკეთოდ ნარიმარცა გამარჯვება და ჩემპიონის ოქროს მედალი უფროსმა ძმამ, სერგო გოგისსანიძემ მოიპოვა.

ვლადიმერ **ადეიშვილი** (საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი): „საქართველოს ნაკრები ნლეულს ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატზეც და უზგრეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ისასპარზებს. გუნდი ძირითადად საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებული მოჭიდაველებით დაკომპლექტდება, თუმცა ჯერ კიდევ ბეერრა რამაა გასარკვევი. მოუხდავად იმისა, რომ ჩემპიონები გახდნენ, ამ ბიჭებს ნაკრებში ადგილი არა აქვთ დაბეგვეული. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებამდე საერთაშორისო ტურნირებში მივიღეთ მონაწილეობაც, ოთხი საერთაშორისო ტურნირი გეკუქს დაგეგმული და ნაკრები საბოლოოდ ამის შემდეგ დაკომპლექტება. შარშანა გვქონდა ისეთი მაგალითები, როცა მეორე ადგილზე გასული მოჭიდაველ მოხვდა პირველ გუნდში და ეს ანლაც არ არის გამორიცხული. გარდა ამისა, ჩემპიონაცხი არ უფიდგია 84 კილოგრამ ნონით კატეგორიაში მოსასპარზე არსენ კახაბრიშვილს, რომელიც უფაციდ ნონის ლიდერია. მან ნლეულს დიდებში მესამე ადგილი დაიკავა და ახლანან ნაკარების რიგებში ეროვანში მსოფლიო თასზე იყოდაა, ეს ტურნირები ერთმანეთის დაემთხვა და საქართველოს ჩემპიონატში ამ ნონაში ეკრობის ჩემპიონატზე გასათვალისწინებელ ბიჭებს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, გიიტლეთ მაღალ დონეს ეელოდი".

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲬᲐᲛᲘ

50 ᲙᲒ

1. ᲑᲐᲩᲐᲜᲐ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
2. ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲑᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
3. ᲜᲘᲐ ᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
4. ᲠᲔᲕᲐᲖ ᲩᲐᲜᲘᲫᲔ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ)

55 ᲙᲒ

1. ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲬᲣᲚᲣᲘᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
2. ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲠᲘᲫᲔ (ᲡᲐᲛᲔᲡᲠᲝ)
3. ᲛᲘᲠᲩᲐ ᲨᲐᲚᲐᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
4. ᲓᲘᲜᲐᲛᲘ ᲥᲣᲗᲣᲚᲘᲫᲔ (ᲭᲘᲐᲚᲢᲐᲛᲘ)

60 ᲙᲒ

1. ᲛᲘᲥᲔᲚ ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
2. ᲓᲝᲗᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲠᲘᲫᲔ (ᲡᲐᲛᲔᲡᲠᲝ)
3. ᲓᲘᲜᲐ ᲛᲘᲠᲘᲫᲐᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
4. ᲨᲝᲠᲗᲐ ᲭᲔᲚᲘᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)

66 ᲙᲒ

1. ᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ (ᲡᲔᲜᲐᲙᲘ)
2. ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ (ᲑᲐᲠᲜᲐᲣᲚᲘ)
3. ᲓᲘᲜᲐ ᲙᲘᲠᲘᲐᲙᲘᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
4. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ (ᲡᲔᲜᲐᲙᲘ)

74 ᲙᲒ

1. ᲨᲣᲐᲜᲘ ᲠᲘᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲑᲐᲠᲜᲐᲣᲚᲘ)
2. ᲗᲐᲜᲐᲛ ᲑᲐᲣᲠᲩᲐᲫᲔ (ᲐᲭᲐᲠᲐ)
3. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲡᲢᲘᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)
4. ᲨᲝᲗᲐ ᲮᲝᲗᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)

84 ᲙᲒ

1. ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ)
2. ᲠᲔᲕᲐᲖᲘ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)
3. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲣᲠᲑᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ)
4. ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲮᲝᲜᲐᲠᲔᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)

96 ᲙᲒ

1. ᲒᲝᲒᲘ ᲛᲣᲠᲣᲚᲘᲫᲔ (ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ)
2. ᲓᲘᲐᲜᲔᲚᲘ ᲫᲐᲯᲘᲐ (ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ)
3. ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲩᲐᲜᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)
4. ᲡᲐᲜᲔᲠᲘᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲫᲔ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)

120 ᲙᲒ

1. ᲡᲔᲠᲒᲝ ᲒᲝᲒᲘᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ)
2. ᲗᲝᲗᲐ ᲒᲝᲒᲘᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ)
3. ᲚᲔᲕᲐᲜ ᲨᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)
4. ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲠᲗᲣᲛᲐᲫᲔ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)

დავით ᲙᲘᲠᲙᲘᲜᲘᲫᲔ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲣᲚ

ᲤᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲜᲘᲗ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲗᲣ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲓᲘᲗᲘᲗ...

ᲑᲝᲚᲝ სამი წელინადი ჯიქუთრ მიინვედა დასახული მიზნისკენ: 2008 წელს ევროპელი ჩემპიონატში ნანა ძაგნიძესთან I-II ადგილები გიიყო და ვერცხლის მედლით დაამაყოფილდა, მარშმნ მსგავს შეჯიბრებაზე მეორე-მეოთხე ადგილები გიიანნინა, წლეულს ინნარაში კი სანაადელს ენია - კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

სალო მელია ბათუმელია. აჭარიდან მეორე დიდოსტატი ქალია დიანა დარჩიაის შემდეგ, სამაგიეროდ, ვაუებში პირველმა მოიპოვა საერთაშორისო ოსტატობა. სხვადასხვა ასაკში ორჯერ ევროპელი თანამოელები დაჯაბნა. ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონობა და ოთხჯერ პრიზიორობა მოიპოვა.

შარშმნ ნარმმატებით მოიარა საერთაშორისო ტურნირები - ქალებში მონრეალის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულმა ვაუებში მეორე ადგილი დაიკავა. იტალიაში ეფლაერო ერესმის მემორიალზე ყველა მანდილოსანს აჯობა, რუმინეთის საკლუბო ჩემპიონატში მისმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. თავად კი ქალთა პირველ დაფაზე მესამე იყო, სამაგიეროდ, თურქეთის საკლუბო ჩემპიონატში არაგის დაუფმი პირველობა. მოსკოვში აეროფლოტის საერთაშორისო ფესტივალზე ქალთა შორის პირველი-მესამე ადგილები გიანნინეა, ვერაფის საკლუბო ჩემპიონატში „სამაიასთან" ერთად ბრინჯაოს მედალი ხვდა.

ახლა კი ინნერვეთუ სალომე მელიასთან, რომელიც ახლახან რუმინეთის საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნდა.

- შარშანდელი შეჯიბრებით კმაყოფილი ვარ, თუმცა წლეულდელი სტარტი უფრო ეფექტური გამმიავიდა. სამ ტურნირში ვიასპარეზე და დაბაბუალი ორთაბრძოლები გადავიტანე. გასაკვირვებელი მნიშვნელოვანი იყო რემეთის ეროვნული ჩემპიონატი, სადაც ოქროს მედლის მფლობელის ვინაობა მხოლოდ ბოლო ტურნირ გაარკვა. კმაყოფილი ვარ, რომ მიზანს მივაღწიე - ჩემპიონობა მოვიპოვე, მაგრამ ეს თვითდამჭიდების უფლებას არ მაძლევს, რადგან ქვეყნის ჩემპიონობა მოვალეობაცაა. მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე მომიწევს საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა და ნდობა უნდა გავამართლო.

- სანამ სამომავლო გეგმებზე გვეტყოდეთ, იქნებ მოგვიანოს და ბუქარესტის ტურნირებზეც გვითხრათ რაშე...

- რუსეთის დედაქალაქის ღია პირველობა წლეულს მეხუთედ მოეწყო. 2005 წელს შერეული ტურნირი გაიმართა. მაშინ ქალებში პირველი ადგილი ფიციაკვე. მესამე წელინადია, Moskow open-ზე მანდილოსანთა შეჯიბრება ცალკე იმართება. ამჯერად სხვადასხვა ქვეყნის 140-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. რეიტინგ-ფავორიტები იყვნენ ჩინელები - ოუ ვენოუნი და ფაო სიუ, რომელიც ვაუებში დიდოსტატია. მათთან ერთად პირველობისთვის იბრძოდნენ გერმანიის ეროვნული ნაკრების ლიდერი ელდერ ზატეკი, რუსეთის ოლიმპიური გუნდის ნევრი ვალენტინა გუნინა, დიდოსტატები სვეტლანა მატკეევა, ტატიანა გრაპეზოვა და სხვები. კარგად ვითამაშეთ მე და ნაზი პაიკიძემ. ბოლო ტურის წინ ორივეს 6,5-ნ,5 ქულა გვქონდა. ნახევარი ქულით ფაო სიუ გვისწრებდა. გადაამწყვეტი პარტია სნორედ მას მოუვდა, ნაზიმ კი გუნინა დაამარცხა და პირველ-მეორე ადგილები გავიყავით. მსპინძლებმა თითქოს ხუმრობით, მაგრამ ერთგვარი დანანებითაც გვითხრეს, რომ ჭკვიდნოდა, ასე კარგი ფიციმაუბდით, ქართველებს საზღვრებს არ გაგიხსნიდით.

- ბუქარესტის ტურნირი, ასე ვთქვათ, ერთი ამოსუნთქვაი მოიგეთ...



ᲒᲕᲔᲑᲐᲫᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲜᲐ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲓᲐᲥᲐᲚᲐᲫᲔ ᲐᲜᲐᲠᲗᲐ მოჭიდრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირზე ხუთი ევროპელი მანდილოსანი ამდენივე თურქ ქალბატონს ორ წრედ ეეკიბრებოდა. ბეგერი კონკურენტის ღირსებას იცავდნენ **სოფიო გვეტაძე** (საქართველო), **ანეეკა ბორსუკი** (ისრაელი), **ანა ბურტასოვა** (რუსეთი), **ნარეგნ უმუდოვა** (აზერბაიჯანი) და **ანასტასია კარლოვიჩი** (უკრაინა). მასპინძელთა შემადგენლობაში ვამოდოდნენ **ბეთულ ილდიზი, კუბრა ოზთურქი, ემელ კაია, სელენ სოფი** და **ეზგი მენზი.**

ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა ქართველმა დიდოსტატმა გვეტაძემ, რომელმაც 8 შეხვედრა მოიგო, ერთი ყაიმით (ოზთურქთან) დაამთავრა და ერთიც ნააგო (ილდიზთან). საბოლოოდ 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 7 ქულით მეორე იყო ბორსუკი. 6-ნ ქულა უმუდოვამ, ბურტასოვამ და ოზთურქმა მოაგროვეს.

ვაეა ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲬᲐᲛᲘ ᲗᲘᲚᲘᲡᲐᲛᲣᲠᲛᲐ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲜᲐᲛ საუკეთესო ქართველი მოთხილამურეები ევნაუვერის ოლიმპიადაში მონაწილეობენ, დანარჩენები საქართველოს ჩემპიონატში ცდილან ძალებს. ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი ბაკურიანში, დიდველის ტრასაზე, საეკიალურ სლალომში ჩატარდა და ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

ᲥᲐᲠᲗᲔᲚᲘ

11-12 ᲬᲚ. 1. გიორგი კუტრანიძე (ბაკურიანი), 2. ერეკლე ბაგალიშვილი (თბილისი), 3. ზაზა ოგბაიძე (გუდაური).

13-14 ᲬᲚ. 1. ნიკოლოზ კოზანაშვილი (ბაკურიანი), 2. გოგა ოგბაიძე, 3. სოსო ჯაფარიძე (ორივე - გუდაური).

15-19 ᲬᲚ. 1. ალეკო ბენიაიძე (გუდაური), 2. კოტე ვახტანგიშვილი, 3. დავით თედიაშვილი (ორივე - ბაკურიანი).

ᲒᲝᲠᲝᲜᲘᲜᲐ

11-12 ᲬᲚ. 1. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური), 2. ილონა შავაძე (აჭარა), თიკო ნაზღაიძე (გუდაური).

13-14 ᲬᲚ. 1. სუსანა გაგა (ბაკურიანი), 2. ეკატერინე ბერეკა, 3. ნანა ბოკუჩავა (ორივე - გუდაური).

15-19 ᲬᲚ. 1. ნატალი გაგა (ბაკურიანი), 2. თამარა ჯაფარიძე, 3. თამარა ნამანიძე (ორივე - გუდაური)

ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲘ:

V ᲔᲢᲐᲞᲘ. 6-7 ᲛᲐᲠᲢᲘ. ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.

VI ᲔᲢᲐᲞᲘ. 20-21 ᲛᲐᲠᲢᲘ. გუდაური. სლალომი, გიგანტი.

VII ᲔᲢᲐᲞᲘ. 3-4 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. გუდაური. სლალომი, გიგანტი.

შემდეგი ეტაპიდან საქართველოს ჩემპიონატში ევნაუვერდან დაბრუნებული მოთხილამურეებიც ჩაერთვებიან.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲘᲜᲘᲨᲐᲛᲓᲔ ᲝᲠᲘ ᲭᲣᲠᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡᲢᲘ (ირანი) საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის მე-9 ტურში დიდ ინტერესს იწვევდა შეჯირეების ერთ-ერთი ფავორიტის - **სერგეი ტო�აკოვისა** (2662) და **კონსტანტინე ᲗᲐᲜᲐᲨᲘᲚᲘᲡ** (2551) შეხვედრა. ქართველი დიდოსტატი ნახევარი ქულით უსწორებდა მეტოქეს. მართალია, ტოვიაკოვი თეორიზ ფიგურებით თამაშობდა, მაგრამ გადამწყვეტ უსპირატესობას ვერ მიაღწია და ყაიმს დასჯერეა. ამ დაბაბეებით ისარგებლა აზერბაიჯანელმა **აზერ მირზოევმა,** რომელმაც მაგებით მსპინძელი **ᲐᲛᲘᲜᲐᲓᲘᲜᲝᲕᲐ** დაამარცხა და ქულებით მანავის გაუთანაბრა. ლიდერთა ჯგუფიდან ფაბუდინ **ᲞᲐᲨᲐᲚᲐᲕᲘᲜᲐ** და **ᲒᲐᲚᲘᲜᲐ ᲩᲐᲒᲘᲜ, ᲛᲝᲠᲒᲣᲚᲘ ᲛᲐᲫᲒᲣᲜᲘ** და **რასულ ᲜᲘᲠᲐᲨᲘᲜᲝᲕᲘᲜ, ᲛᲣᲰᲔᲓ ᲨᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ** და **არა ᲓᲐᲜᲘᲚᲝᲕᲐᲜ.** ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, რომელსაც 5,5 ქულა ᲰᲥᲠᲘᲗᲐ, მავი ფიგურებით **ᲐᲑᲓᲣᲚ ᲑᲐᲚᲘᲜᲝᲕᲘᲜᲘᲡ** ხალიდ ᲯᲐᲜᲘᲡ ხალიდ.

მეათე ტურისთვის 7,5-7,5 ქულით შანავი და მირზოევი ლიდერობენ. 7-7 ქულა თერთმეტმა მოჭადრაკემ მოაგროვა. ბოლოსწინა ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲘ-ᲨᲐᲜᲐᲕᲐ, ᲓᲐᲜᲘᲚᲝᲕᲘᲐᲜᲘᲜᲐ, ᲩᲐᲒᲘᲜᲘᲡᲝᲕᲘᲐᲜᲘᲜᲐ, ᲨᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ-ᲛᲐᲫᲒᲣᲜᲘ, ᲨᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ-ᲒᲠᲐᲖᲔᲚᲝᲕᲘᲡᲙᲘᲐᲜᲘᲜᲐ, ᲖᲐᲚᲐᲕᲘᲜᲐ-ᲒᲠᲐᲖᲔᲚᲝᲕᲘᲡᲙᲘᲐᲜᲘᲜᲐ, ᲖᲐᲠᲑᲐᲒᲝᲕᲐ-ᲛᲐᲫᲒᲣᲜᲘ.** გაფრინდნენ კასპის თასის მფლობელ **ფარიდ ᲐᲑᲐᲡᲘᲡᲗᲘ** შეხვდება.

ვაეა ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 18-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. უკეკე ბაუნეეთ, რომ გოგოლთა შორის ჩემპიონობა ტურნი ადრე **ნათია ჯალაბაძემ** მოიპოვა. ამის მოუხდავად, გუშინ მან ბოლო ტურში **ნანი უნაფეშვილიც** დაამარცხა და 7,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს 1,5-1,5 ქულით ჩამორჩნენ **ანა კუჭავა** და **ლეკა კობეშავიძე,** რომლებმაც შესაბამისად, **ფატმან რიფამაძეს** და **მარიამ თევზაძეს** სძლიეს. უკეეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი კუჭავას ხვდა.

ვაეეპში ჩემპიონობის რეალური ფავორიტი იყო **გიორგი ნიკოლაეური,** რომელმაც ბუნმ შავი ფიგურებით **ბექა ფიფია** დაამარცხა, 9 მესაალეტლიდან 8 ქულა (!) მოაგროვა და ოქროს მედალი დამსახურა. **ლევან ბრეგაძემ ლიზი ᲗᲠᲐᲜᲐᲘᲫᲔ** მოუგო და 7 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. **ᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲝᲛᲐᲜᲘᲐ** მძლეველი **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲒᲚᲘᲫᲔ** „ᲑᲠᲜᲯᲐᲝᲜᲘ" დაკმაყოფილდა.

ეს შეჯიბრება საკვალიფიკაციოც იყო. ჯალაბაძემ და ნიკოლაშვილმა მსოფლიოს პირველობის საგზურები მოიპოვეს, ხოლო კუჭავა და ბრეგაძე ევროპელ თანამოელეს გაეჯიბრებიან.

ვაეა ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

კოპბოებმა კობი შებოჭეს

გასული სათამაშო დღის გმირი „დალასს მაგერესი" გახდა, რომელმაც მოქმედი ჩემპიონის - „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" შეჩერება შეძლო. მოუხდავად ამისა, რომ მეხეადრის დებიუტი კალიფორნიელებისა იყო, „მავერიქსი" არ შეუუა სტუმრების სასაღარო აქტიურობას და თანდათანობით მოახერხა მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ შემობრუნება. **დირკ ნოვიცკიმ** და **ჯეისონ ტერომ** ნამდვილი რისხვა დაატეხეს თავს „ლეიკერსს" დაცვას და ჯამში 61 ქულა მიითვალეს. ამ წყვილის ასეთმა შედეგიანობამ „დალასს" მეოთხე მეოთხედში ვადამწყვეტი გაქცევის საშუალება მისცა, რომლის შემდეგ სტუმრებმა თავის გადარჩენა ვერ მოახერხეს. **კობი ბრაიანტი** ბევრს ცდილობდა პარტნიორების გამოცოცხლებას, მაგრამ ჩემპიონის ლიდერის ამ მონდომებამან შედეგი ვერ გამოიღო.

გაიბარა თავისი გულმშმატკივრები „სან ანტონიო სპურსმა". თუმცა **გრეგ პოპოვიჩის** გუნდმა გაჭირვებით გადალახა „ოკლაჰომა სიტის" ბარიერი. მთელი მატჩის განმავლობაში ჩავარდნა ორივე გუნდს ჰქონდა, ამიტომაც გამარჯვებულის პრეფერენციები რთული იყო. მხოლოდ მეოთხე მეოთხედმა დააყენა ყველაფერი თავის ადგილას. „სპურსის" წარმატების ვასაღები შეხვედრის ბოლოს **მანუ ჯინობილის** ბრწყინვალე თამაში გახდა. საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე სწორედ არგენტინელი მონაწილეობდა შეხვედრის გადამწყვეტ ეპიზოდში. თავიდან სამხრეთამერიკელმა ფანტასტიკურ სტილში დაუფარა ბურთი **კევინ დურანტს,** რის შემდეგაც სპასუხო შეტევაში სამქულიანი ჩააგდო და სპორილოდ ვაარკვია მატჩში გამარჯვებულის ბედი.

ურთულეს გამარჯვებას მიაღწია „მემფისმა". **ჟოლინზონის** გუნდმა მხოლოდ ბოლო წუთებში დაუკანონა „ეაშინგტონი". **ჯოშ პოჯარიის** დაკარგვის მიუხედავად, „უიზარდსმა" საკუთარ კედლებში შეძლო სათანადო განწყობით მოეგდინა გასვლა და სტუმრებისთვის პრობლემების შექმნა. მატჩში ძირითადი ბრძოლა ორივე გუნდის სამნაბიჯ ზონაში მიმდინარეობდა. **ანდრეა ბელტჩის** დუელი **ზაკ რენდოლფთან** და **მარკ გასოლთან** გაგფთრებული ბრძოლაში გადაიზარდა. **რუდი გეისა** და **ო ჯეი მაიოს** დროული დახმარებით, „გრიზლისმა" მაინც შეძლო ბოლოს ერთ-ერთი ოუტსაიდერის ძლეგა.

საჭირო გამარჯვებების აგროგებს „ოუტა ჯაზი". **ჯერი სლოუნის** გუნდმა კარგი ფორმა აკრიფა და ამჯერად შანსი არ დაუტოვა „შარლოტ ბობკატებს". „ჯაზმენებმა" ბოლო დღეებში მეორედ გადაარჩინეს თითქმის ნაგებული მატჩი. გახსოვთ „პორტლენდთან" გამარჯვება, როცა **ჯერი სლოუნის** შეგირდები მატჩის მსვლელობისას 25 ქულას აგებდნენ. აშკერად „ოუტამ" პირნმინდად დათმო პირველი ტაიმი, მაგრამ მეორე ნახევრაში ხანგრძლივი სპურტით ნინ გასვლა მოახერხა. ეს პირველ რიგში **კარლოს ბუზერის, დერონ უილიამსისა** და **კაილ კორვერის** დამსახურებაა. გამოცდილი **ლარი ბრაუნი** შეეცადა მაგრამ მსვლელობის შეცვლას, მაგრამ მისმა კორექტივებმა საჭირო ეფექტი ვერ მოიტანა. სათადარიგოთა სკამიდან შესული **ტაირეს ტომასის** 20-მა ქულამაც ვერ შეცვალა თამაშის სურათი.

■ ■ ■

მიმოხილვა ერთი საინტერესო ინფორმაციით დავასრულოთ. „ფილადელფიის სიქსერზის" გენერალურმა მენეჯერმა **ედ სტეფანსკიმ** უარყო ჭორი იმის შესახებ, რომ კლუბმა შეიძლება უარი განაცხადოს **ალენ აივერსონის** სამსახურზე და ვეტერანი გამთამაშებელი უახლოეს პერიოდში გაუშვას გუნდიდან. როგორც ეცნობა, მცველი უკვე დიდი ხანია არ გადის მოედანზე, 4 წლის ქალიშვილის ავადმყოფობის გამო.

„ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენ ბიგვანნია, რომ „სიქსერზის", ალენისა და მისი ოჯახის ინტერესებში იყო კალათბურთელის გაშვება იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომლებიც კალათბურთზე გაკეთებით მნიშვნელოვანია", - ამბობს სტეფანსკი.

აბლანგა-მინესოტა	**98:92**
23:21, 27:21, 28:24, 20:26	

ა: სმიტი (27+10 მოხსნა+5 ასი), ჯონსონი (21+5 ასისუ), ბიბი (12+5 მოხსნა), პორტეოროფი (11+13 მოხსნა+5 ასი), ეფანსი (10).
მ: ფიფი (19+12 მოხსნა), ბოლინზი (18), ეიფელისი (15), გოლში (11), ბრიუერი (10+6 ასი), ჯეფერსონი (10).

ბრუკლინი-პორტლენდი	**87:101**
24:32, 23:21, 21:25, 19:23	

ბ: თორტოფილ (24), ჯეკი (18+8 ასი), ბარნსი (15+6 მოხსნა), ჯონსონი (10+8 მოხსნა).
პ: ოლი (20+5 მოხსნა+5 ასი), მილერი (18+10 ასი+7 მოხსნა), ფეფნდეში (17+7 მოხსნა), ბეილეი (11), ბოფარდი (10).

ფაენიქსი-ვეფფისი	**94:99**
23:27, 25:19, 20:23, 26:30	

ფ: ბლეტში (24+8 მოხსნა+5 ასი), ტორნტონი (16+11 მოხსნა), ბაკლეი.
ვ: რენდოლფი (22+9 მოხსნა), გეი (20+7 მოხსნა), ბ. გასოლი (20+7 მოხსნა), მაიო (17+8 ასი+5 მოხსნა).

**რია

ამას არავინ ელოდა!

ორი დღე გაინელა ქალებს შორის გიგანტური სლალომის სტარტი. ოთხმაბათს მოთხილამურეებმა მხოლოდ პირველი ცდის შესრულება მოასწრეს, რის შემდეგაც ტრასაზე ნისლი ჩამოწვა და ორგანიზატორებმა შეჯიბრის გაგრძელება დღისათვის გადადეს.

პირველი ცდის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო **ელიზაბეტ გიორგლმა**, თუმცა ავსტრიელის უპირატესობა მეორე ადგილზე მყოფ ფრანგ **ტანია ბარიოსთან** სულ რაღაც 2 მეასედ ნამს შეადგენდა. ლიდერებთან ახლოს იყო კიდევ ერთი ავსტრიელი **კატრინ ცეტელი** - ის გიორგლს 16 მეასედით ჩამორჩებოდა.

ფავორიტთა ბრძოლაში ვერ ჩაერია ამერიკელი **ლინდსი ვონი**, რომელიც ტრასაზე დაეცა და ფინიშამდე ვერ მიაღწია. სხვათა შორის, ვონმა თანამემამულე **ჯულია მანკუზოს** გაუფუჭა საქმე. ლინდსიმ დროულად ვერ დატოვა ტრასა, ამასობაში კი მსაჯებმა მანკუზო ნაადრევად გაუშვეს დისტანციაზე. ჯულიამ შეწყვიტა გამოსვლა და ხელმეორე სტარტის უფლება მიიღო, მაგრამ სათანადოდ ვერ განეწყო და მხოლოდ მე-18 დრო აჩვენა. სხვათა შორის, მანკუზო ამ დისციპლინაში ტურინის ოლიმპიადის ჩემპიონი იყო.

გუშინ მოხერხდა მეორე ცდის გამართვა და არათუ სამთო-სათხილამურო სპორტის, არამედ მთელი ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი სენსაციის მონმენი გავხდით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ცდის შემდეგ ისეთი მძიმერო შედეგები დაფიქსირდა, რომ პირველი ათეულის ნებისმიერ წევრს შეეძლო მედალზე პრეტენზიის გამოცხადება.

გიგანტურ სლალომში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, გერმანელი **კატრინ პაოლცი** ხსნდა უძლიერესთა ჯგუფის გამოცალეს. მას ცუდი დაშვება არ ჰქონია, მაგრამ მაინც ნააგო იმ მომენტისთვის დანინაურებულ **ფაბიენ სუტერთან**. შემდეგი იყო ფრანგი **ტესა ვორრი**. მან ცუდად დაინყო, ცუდად გაგრძელა და საბოლოოდ, ძალიან დაბალი შედეგი აჩვენა.

გამოცდილმა იტალიელმა **მანუელა მოელგმა** ჰოოლცს მიბაძა და ისიც ამოვარდა მედლის მაძიებელთა სიიდან. შემდეგია გერმანელი **მარია რიში**. ეს არ არის სუპერკომბინაციის ჩემპიონის საყვარელი დისციპლინა და შედეგიც შესაბამისია - რიში სამეულის მიღმა რჩება. სამაგიეროდ, მისმა თანამემამულეს **ვიქტორია რებენსბურგმა** ისრიალა ბრნყინვალედ და მეექვსე ადგილიდან პირველზე გადაინაცვლა, მაგრამ ნინ ხუთი გამომსვლელი იყო.

დადგა **ტინა მაზუს** ჯერი. როგორც შემდეგ გაირკვა, სლოვენიელი იყო ერთადერთი მოთხილამურე, რომელმაც სერიოზული კონკურენცია გაუწია რებენსბურგს და მასთან მხოლოდ 4 მეასედი ნამი ნააგო.

ჯერ ნაადრეი იყო გერმანელის სიხარული, რადგან ტრასაზე გავიდა ამკარა ფავორიტი კატრინ ცეტელი. რამდენიმე შეცდომა და ავსტრიელმა ფავორიტის სტატუსი და მედლის შანსი ერთდროულად დაკარგა. პირველი ცდის შემდეგ მეორე ადგილზე მყოფი ბაროისი ძალიან ცუდ შედეგს აჩვენებს. რრებოდა მხოლოდ პირველი ცდის ლიდერი ელიზაბეტ გიორგლი. რებენსბურგს მინიმუმ ვერცხლი გარანტირებული ჰქონდა.

ეს ცდა გიორგლმაც ჩაადო და გუშინდელი იუნიორი, 20 წლის ვიქტორია რებენსბურგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა! ეს მოთხილამურე ჯერ კიდევ მარშან იუნიორებს მორს გამოდიოდა და იქ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ, ალბათ, თავადაც ვერ წარმოიდგენდა რომ ერთი წლის შემდეგ, ოლიმპიურ ოქროს მიიღებდა.

გიგანტური სლალომი. ქალები

1. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 2:27:11; 2. **ტინა მაზუ** (სლოვენ) - +0.04; 3. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - +0.14; 4. **ფაბიენ სუტერი** (შვეიც) - +0.41; 5. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) +0.42; 6. **კატრინ პაოლცი** (გერ) - +0.47...

გია თვალაბეიშვილი